



**მედიცინა**  
**საქართველოში:**

ტრადიციიდან თანამედროვეობამდე





ევროკავშირი  
საქართველოსთვის  
EIJ4Justice: მართლმსაჯულების რეფორმის  
შარდაქტრა



*Empowered lives.  
Resilient nations.*

## მედიასტია საქართველოში: ტრადიციიდან თანამედროვეობამდე

ავტორი: სოფიო ცყემალაძე

თბილისი, 2016

გამოცემულია ევროკავშირისა (EU) და გაეროს განვითარების პროგრამის (UNDP) ფინანსური მხარდაჭერით.

წინამდებარე გამოცემაში გამოთქმული მოსაზრებები შეიძლება არ ასახავდეს ევროკავშირისა (EU) და გაეროს განვითარების პროგრამის (UNDP) თვალსაზრისს.

კვლევის ავტორი

სოფიო ტყემალაძე

რედაქტორი (კორექტორი)

მანანა ტაბიძე

გარეკანის დიზაინერი

ნინო ფალავანდიშვილი

© UNDP Georgia (2016), საავტორო უფლებები დაცულია  
გამოცემულია საქართველოში

## შინაარსი

წინასიტყვაობა	5
შესავალი	8
რამდენიმე განმარტება ტერმინებთან დაკავშირებით	11
მედიაცია საქართველოში – ისტორიული ექსკურსი	13
ქართული ისტორიული მედიაციის ზოგადი მახასიათებლები	18
საქართველოს ცალკეული მხარის თავისებურებანი	22
სვანეთი	22
ხევსურეთი	27
ფშავი	31
აფხაზეთი	34
მედიატორთა მონაწილეობა ოჯახის გაყრაში	38
მედიაციის წარსულიდან აწმყოსა და მომავალზე	40
კითხვები	42
ბიბლიოგრაფია	43



## წინასიტყვაობა

დავა ადამიანთა ცხოვრების განუყოფელი ნაწილია. კაცობრიობის განვითარების ნებისმიერ ეტაპზე, და დედამიწის ნებისმიერ კუთხეში ადგილი ჰქონდა და აქვს უთანხმოებას, რაც გამოიხატება როგორც პიროვნულ თუ ოჯახებს/თემებს შორის დავებში, ისე სახელმწიფოებს შორის კონფლიქტებში. თუმცა დღეს, ადამიანთა რაოდენობის ზრდამ, შეზღუდულმა ბუნებრივმა რესურსებმა, კაცობრიობის მიერ მიღწეულმა ტექნოლოგიურმა პროგრესმა, ცხოვრების დაჩქარებულმა დინამიკამ და ბევრმა სხვა ფაქტორმა განაპირობა დავების სიხშირე და მათი გავრდილი სიმძაფრე. გავრდილია ამ დავების დესტრუქციული ეფექტიც. დავები, რომელთა გადაწყვეტაც ვერ ხდება ეფექტიანად, შეიძლება მნიშვნელოვან დაბრკოლებად იქცეს ნებისმიერი სახელმწიფოს ეკონომიკური და დემოკრატიული განვითარებისათვის.

დავების გადაწყვეტის სამი ზოგადი მეთოდია ცნობილი:<sup>1</sup> პირველი, როდესაც დავის გადასაჭრელად მხარეები მიმართავენ ძალას ან ძალაუფლებას – ე.წ. „ძალადობრივი“ მეთოდი. მაგალითად, როდესაც ადამიანები ფიზიკურად უსწორდებიან ერთმანეთს (ჩხუბი, ომი). ამ მეთოდის მთავარი მახასიათებელი ის არის, რომ მხარეები იყენებენ ძალას ან ძალაუფლებას, რათა მიიღწიონ სასურველ შედეგს და/ან აიძულონ მეორე მხარე გააკეთოს ის, რაც არ სურს. მეორე, არის ე.წ. „უფლებრივი“ მეთოდი – როდესაც მოდავე მხარეები მიმართავენ მესამე მხარეს, რათა მან დაადგინოს, ვინ არის „მართალი“ და ვის რისი უფლება აქვს. ამის მაგალითია მიმართვა სასამართლოს ან არბიტრაჟისადმი, რათა მოსამართლემ ან არბიტრმა გადაწყვიტოს, ვის რა ეკუთვნის<sup>2</sup>. მესამე, არის ე.წ. შეთანხმებაზე, ინტერესებზე ორიენტირებული მეთოდი, როდესაც მხარეები ცდილობენ მოლაპარაკების გზით მონახონ გამოსავალი, რომელიც მისაღები იქნება თითოეული მათგანისათვის. ამ მიდგომის მაგალითია ინტერესებზე ორიენტირებული მოლაპარაკება, ან მედიაცია.

თუკი გადავხედავთ მსოფლიოს რუკას და თითქმის ყველა წერტილში არსებულ ძალადობის ფაქტებს, რომ არაფერი ვთქვათ ფართომასშტაბიან ომებზე, ნათელი

<sup>1</sup> მოლაპარაკებისადმი/დავის მოგვარებისადმი ეს სამი მიდგომა აღწერილია უილიამ ურის, ჟან ბრეტისა და სტივენ ვოლდბერგის წიგნში „დავების მოგვარება: სისტემების შემუშავება კონფლიქტის ხარჯის შესაკვცად“, JosseyBass გამომცემლობა, 1988; William Ury, Jeanne Bret, and Stephen Goldberg, *Getting Disputes Resolved: Designing Systems to Cut the Costs of Conflict*, ( JosseyBass Publishers, 1988).

<sup>2</sup> შესაძლოა უფლება ძალაუფლების მექანიზმადაც გამოიყენებოდეს.

გახდება, რომ კონფლიქტის გადაჭრისადმი ძალადობრივი მიდგომა კვლავ დომინირებს კაცობრიობაში. ასევე, მაგალითისთვის ავიღოთ საქართველოს სასამართლოების დატვირთულობა, კერძოდ კი თითოეულ მოსამართლეზე განაწილებული საქმეების ყოველწლიურად მზარდი რაოდენობა. ნათელია, რომ მესამე პირისთვის (იქნება ეს მოსამართლე თუ არბიტრი) პასუხისმგებლობის გადაბარება და გადაწყვეტილების მიღების მინდობა დიდად პრობლემარეული ჩვენში. რა თქმა უნდა, თითოეულ ამ მექანიზმს, ნაკლოვანებებთან ერთად, თავისი უპირატესობაც აქვს და შესაძლოა არის დავები, რომელთა გადაწყვეტის ერთადერთი საშუალება შეიძლება ძალაუფლების გამოყენება, ან სასამართლოსთვის მიმართვა იყოს. თუმცა, ეს იშვიათად ხდება. ჩვენ, უბრალოდ მივეჩვიეთ ასეთი გზით დავების გადაწყვეტას; ამასთან, დაპირისპირებულ მხარესთან მოლაპარაკების მცდელობას წინ ეღობება ბევრი ფსიქოლოგიური ბარიერი. შესაბამისად, უმეტესწილად იმ პრემუმფიციით ვმოქმედებთ, რომ ძალის/ძალაუფლების გამოყენება, ან მესამე მხარესთან „ჩივილი“ ერთადერთი თუ არა, ყველაზე სწორი გზაა უთანხმოების მოსაგვარებლად. ასეთ დროს, არ ვაცნობიერებთ დავის გადაჭრის საფასურს, თუ რა ფინანსური, დროის თუ ადამიანური რესურსის ხარჯზე ხდება დავის გადაწყვეტა; არ განვიხილავთ, არსებობს თუ არა უკეთესი ალტერნატივა. რაც მთავარია, დავის ამ გზით გადაწყვეტის შემთხვევაში ხდება უთანხმოების „ტექნიკური“ და, როგორც წესი, მხოლოდ დროებითი მოგვარება; ურთიერთობა ადამიანებს შორის კი, არათუ არ აღდგება, ხშირად უფრო იძაბება და საერთოდ წყდება კიდევ.

მხარეთა „შეთანხმებაზე“, „ინტერესებზე“ ორიენტირებული დავის მოგვარების მექანიზმი, რომლის მაგალითს წარმოადგენს მედიაცია, უზრუნველყოფს, ერთი მხრივ, დავის მოგვარებას დროის მოკლე მონაკვეთში და გაცილებით ნაკლები ხარჯით, და მეორე მხრივ, რაც ყველაზე მნიშვნელოვანია, ხელს უწყობს ადამიანებს შორის (ასევე კომპანიებს შორის, როდესაც დავის მხარე იურიდიული პირია) ურთიერთობის აღდგენას.<sup>3</sup> მედიაცია გარკვეულწილად ტრანსფორმაციული<sup>4</sup> პროცესია; თავისი სტრუქტურითა და მედიატორის უნარ–ჩვევებით მხარეებს ეძლევათ უნიკალური საშუალება, მოუსმინონ ერთმანეთს, გაიგონ, რით ხელმძღვანელობს თითოეული მათგანი ამა თუ იმ პოზიციის აპელირებისას, ჩაუღრმავდნენ საკუთარ საჭიროებებს და გამოიკვლიონ საკუთარი და მეორე მხარის ინტერესები. ამ ყოველივეს საფუძველზე, როდესაც მხარეები აღჭურვებიან მეტი ცოდნით

<sup>3</sup> უნდა აღინიშნოს, რომ ურთიერთობების აღდგენა მეტად იკვეთება ე.წ. „ფასილიტაციურ“ მედიაციაში, ვიდრე „შეფასებით“ მედიაციის მოდელში. განსხვავება ამ მოდელებს შორის იხილეთ მე-3 სქოლიოში. წინამდებარე შრომის ავტორი მიმდევარია „ფასილიტაციური“ მედიაციის, რომელიც ამავე დროს გახლავთ მედიაციის კლასიკური მოდელი. შესაბამისად, წინამდებარე ნაშრომში მითითება მედიაციაზე, უმეტესწილად გულისხმობს მედიაციის სწორედ „ფასილიტაციურ“ მოდელზე მითითებას.

<sup>4</sup> ამ შემთხვევაში არ იგულისხმება მედიაციის ე.წ. „ტრანსფორმაციული“ მოდელი. საუბარია მედიაციის კლასიკურ, „ფასილიტაციურ“ მოდელზე, რომელიც ავტორის აზრით, საშუალებას იძლევა, მოხდეს მოდავე მხარეების ტრანსფორმაცია თანამშრომლობაზე.



საკუთარი და მეორე მხარის საჭიროებებისა და ინტერესების შესახებ, როგორც წესი, ხდება გარდატეხა. ისინი გადადიან შემოქმედებით ფაზაში, როდესაც იწყებენ ისეთი გამოსავლის ძებნას, როგორც ორივე მხარის ინტერესების შესაბამისი იქნება. სწორედ ის, რომ მედიაციის შედეგად მიღწეული შეთანხმება ყოველთვის მხარეთა ნებიდან გამომდინარეობს, უზრუნველყოფს ასეთი შეთანხმების მდგრადობას და დავის გრძელვადიანად მოგვარებას.

მედიაციის არსსა და მის უპირატესობაზე ვრცლად შეიძლება საუბარი. თუმცა ეს არ არის ამ წინასიტყვაობის, და არც თავად კვლევის მიზანი. მედიაციის უპირატესობა აღიარებულია წამყვანი განვითარებული ქვეყნების მიერ; დავების გადასაწყვეტად მედიაციის უფრო ფართოდ გამოყენებისკენ მოუწოდებს ევროკავშირიც თავის წევრ და მომავალ წევრ სახელმწიფოებს.<sup>5</sup>

სასიხარულოა, რომ ევროკავშირმა და გაეროს განვითარების პროგრამამ ერთ-ერთ პრიორიტეტად დაისახეს მედიაციის, როგორც დავების მოგვარების საშუალების, პოპულარიზაცია საქართველოში. სწორედ ამ პროგრამის ფარგლებში გადაწყდა, ჩატარებულიყო მცირედი კვლევა საქართველოში მედიაციის ინსტიტუტის ისტორიის შესახებ. ვიმედოვნებ, წარსულის უკეთ გაცნობით ჩვენ გავაცნობიერებთ არა მხოლოდ იმას, რომ მშვიდობიანი გზით დავების მოგვარება ჩვენი ტრადიციის ნაწილია, არამედ იმასაც, თუ რა ფაქტორებმა განაპირობა მედიაციის ისეთი ფორმით დამკვიდრება, როგორც ამას ადგილი ჰქონდა წარსულში. რაც ყველაზე მთავარია, ვიმედოვნებ, ჩვენ შევძლებთ, რომ წარსულზე დავაშენოთ მედიაციის ისეთი ინსტიტუტი, როგორც უპასუხებს თანამედროვეობის ძალიან დიდ გამოწვევებს. ეს კვლევა სწორედ ამ სულისკვეთებით შესრულდა.

<sup>5</sup> ევროპის პარლამენტისა და ევროკავშირის საბჭოს დირექტივა 2008/52/EC სამოქალაქო და კომერციულ საკითხებზე მედიაციის ზოგიერთი საკითხის შესახებ. აგრეთვე, ევროკომისიის 2010 წლის 20 აგვისტოს განცხადება [http://europa.eu/rapid/press-release\\_IP-10-1060\\_en.htm?locale=en](http://europa.eu/rapid/press-release_IP-10-1060_en.htm?locale=en) ნანახია: 11.09.2016 წ.

## შესავალი

ყველა ქვეყანას აქვს დავების გადაწყვეტის საკუთარი ტრადიცია. მიდგომა დავების გადაწყვეტისადმი საზოგადოების სამართლებრივი კულტურის ნაწილია. წინამდებარე ნაშრომი მიზნად ისახავს საქართველოში დავის გადაწყვეტის ერთი კონკრეტული ფორმის, მედიაციის, ისტორიული საფუძვლების გამოკვლევას.

ნაშრომის მიზანი არ არის ვრცელი სამეცნიერო კვლევა მედიაციის ისტორიული საფუძვლების შესახებ. მისი მასშტაბი შეზღუდულია თავდაპირველი მისიის ფარგლებით: წარმოჩნდეს მოკლე ისტორიული მიმოხილვა, თუ რა ფორმით, როდის და სად იყო განვითარებული მედიაცია საქართველოში და რა იყო მისი დამახასიათებელი ელემენტები. ამდენად, კვლევა შესაძლოა სრულყოფილად არ ასახავდეს საქართველოს ამა თუ იმ კუთხის მედიაციის მდიდარ გამოცდილებას. ამასთან, კვლევაში შედარებით დეტალურად მხოლოდ საქართველოს ოთხი მხარის ტრადიციის ეთმობა ცალკე თავი.<sup>6</sup> ვიმედოვნებ, რომ სხვა დროს და სხვა მკვლევრებს ექნებათ მეტი დრო, რესურსი და ინტერესი, რომ უფრო ვრცლად გადმოსცენ საქართველოს თითოეული კუთხის ტრადიცია ამ მიმართულებით.

კვლევის მიზნებისთვის შესწავლილ იქნა ისტორიული მასალები. ავრეთვე ვესაუბრე რამდენიმე ისტორიკოსს და განვახორციელე სავსე გასვლა სვანეთში. შედეგად შეიკრა წინამდებარე ნაშრომი.

კვლევის მთავარი მიგნებები შემდეგია:

- მედიაცია საზოგადოებრივი განვითარების ადრეულ, წინასახელმწიფო-ებრივ ეტაპზე იყო განვითარებული საქართველოში. დავის განხილვის ეს მეთოდი შენარჩუნდა შუა საუკუნეებში და საქართველოს ზოგიერთ კუთხეს დღემდე შემორჩა;
- ტერმინი „მედიაცია“ არ არის უცხო ქართული სამართლისათვის. სწორედ ამ, და სხვა რამდენიმე ტერმინით (ბჭე, მორევი, სჯულის კაცი),

<sup>6</sup> რაიმე წინასწარგანსაზღვრული კრიტერიუმი ამ კუთხეების არჩევისა არ იყო. იმთავითვე გამოიკვია, რომ სვანეთსა და ხევსურეთში გვიანობამდე შემორჩა მედიაციის ტრადიცია და დღესაც კი მოქმედებს ეს ინსტიტუტი (მართალია ნაკლები მასშტაბით). ფშაგზე რამდენიმე წყარო მოვიძიეთ. აფხაზეთი კი განსაკუთრებული ინტერესის სფეროს წარმოადგენდა ეთნიკური, რელიგიური და პოლიტიკური ფაქტორების გამო.

მოიხსენიებოდა მომრიგებლის, მედიატორის, შუამავლის ინსტიტუტი საქართველოში;

- მედიაციის ისტორიული ფორმის მთავარი განმასხვავებელი ნიშანი დღეს არსებული მედიაციისგან ისაა, რომ ისტორიულად მედიატორს გამოჰქონდა გადაწყვეტილება. ამდენად, მას, მხარეთა შერიგების პარალელურად, სიმართლის დადგენის ფუნქციაც ჰქონდა. სწორედ ამ მიზნით სწავლობდა მედიატორი საქმეს, უსმენდა მოწმეებს, აფიცებდა მხარეებს სიმართლის თქმამზე. მედიაცია თანამედროვე გაგებით გამოირიცხავს მედიატორის მიერ გადაწყვეტილების მიღებას.<sup>7</sup> მედიატორის როლი, დღეს არსებული სისტემით, შემოიფარგლება მხარეთათვის კითხვების დასმით, პროცესის წარმართვით და მხარეთა დახმარებით გამოიკვლიონ საკუთარი ინტერესები და დავის შესაძლო გადაწყვეტის გზები.<sup>8</sup> გადაწყვეტილებას შეთანხმებამზე კი ღებულობენ თავად მხარეები. ამ თვალსაზრისით, წარსული მედიაცია, შეიძლება ითქვას, გარკვეულწილად, ჰიბრიდს წარმოადგენს იმისა, რაც დღეს არის მედიაცია ერთი მხრივ, და არბიტრაჟი — მეორე მხრივ. დღევანდელი მედიაციისთვის მახასიათებელი ელემენტი, რასაც ისტორიული მედიაცია იზიარებს, არის მისი უპირველესი მიზანი – მხარეთა შერიგება. ხოლო არბიტრაჟისათვის დამახასიათებელი ელემენტი გახლავთ ის, რომ მედიატორს წარსულში, როგორც არბიტრს დღევანდელიაში გამოჰქონდა გადაწყვეტილება. უფრო მეტიც, თავად მედიატორების არჩევის, აცილების, პროცესის წარმართვის ელემენტები წარსულში მეტად დამახასიათებელია დღევანდელი გაგებით საარბიტრაჟო წარმოებისთვის. ამდენად, შეიძლება ითქვას, რომ საქართველოს სამართლებრივი კულტურა იცნობდა როგორც მედიაციის, ისე არბიტრაჟის ინსტიტუტს.

- და ბოლოს, მედიაციის პროცესში დიდ როლს თამაშობდა ფიცი, განსაკუთრებით ხატზე ფიცი. ეს არ არის გასაკვირი, ვინაიდან მედიაცია

<sup>7</sup> მედიაციის „შეფასებით“ მოდელი უშვებს მედიატორის მიერ საკუთარი მოსაზრების გამოარებას დავის გადაწყვეტის შესაძლო/რეკომენდებული გზის მითითებით. ამგვარი „შეფასება“ არ არის სავალდებულო მხარეთათვის.

<sup>8</sup> არსებობს მედიაციის რამდენიმე სტილი/მოდელი. „ფასილიტაციური“ მედიაცია ყველაზე კლასიკური ფორმაა და იგი წმინდად მხარეთა ინტერესების გამოკვლევამზე ორიენტირებული პროცესია. ამ დროს მედიატორი წარმართავს პროცესს, მაშინ როდესაც დავის არსებით გადაწყვეტამზე პასუხისმგებლობას ინარჩუნებენ მხარეები. მედიაციის „შეფასებით“ მოდელი მოიცავს შესაძლებლობას, რომ მედიატორმა მხარეებს მიუთითოს მათ შესაძლო სუსტ და ძლიერ მხარეებზე, მისცეს რეკომენდაციები და გაუზიაროს საკუთარი ფორმალური თუ არაფორმალური შეხედულება დავის შესაძლო გადაწყვეტის გზაზე. მედიატორის ამგვარი „შეფასება“ არ არის სავალდებულებელი მხარეთათვის. მედიაციის „ტრანსფორმაციული“ მოდელი შედარებით ახალია და მედიატორის ყველაზე პასიური როლით გამოირჩევა. ტრანსფორმაციული მედიაციაში გადაწყვეტილებას დავის არსზე, ისევე როგორც მედიაციის პროცესის მსვლელობაზე, ღებულობენ მხარეები. მას უფრო თერაპიული ხასიათი აქვს.

დიდიწილად სასამართლო პროცესის ანალოგი იყო; ადატობრივ სამართალში კი ფიცს დიდი მტკიცებულებითი მნიშვნელობა ჰქონდა. შეიძლება ითქვას რომ ხატბე ფიცი გარკვეულწილად მედიაციის ინსტიტუტის საყრდენიც კი იყო, ვინაიდან სწორედ ფიცი განაპირობებდა მხარეთა ნდობას პროცესის მიმართ, ისევე როგორც მათ მიერ მედიატორების გამოტანილი გადაწყვეტილების აღსრულებას. ფიცის სხვადასხვა ფორმა და შინაარსი არსებობდა, რომელიც შერიგების სხვადასხვა პროცედურას სდევდა თან.<sup>9</sup> ხშირად, ფიცს ერთი მხრივ წყევლის, მეორე მხრივ კი ლოცვის სახე ჰქონდა. მათი დეტალური აღწერა სცილდება ამ ნაშრომის მიზნებს და ამიტომ მათზე ყურადღება გამახვილდება მხოლოდ იმ მოცულობით, რა მოცულობითაც ეს აუცილებელია მედიაციის პროცესის აღწერის მიზნებისთვის.

<sup>9</sup> მაგალითად, ეგნატე გაბლიანი მიუთითებს მორიგებას „ლიღვრინე“ – ტოლობისა და თანასწორობის ფიცი დამნაშავეს მოფიცრებითურთ, „ლიღვრინე-მეგნაურ“ – იგივე ფიცი მხოლოდ დამნაშავესა. ა.შ.

## რამდენიმე განმარტება ტერმინებთან დაკავშირებით

ისტორიულ დოკუმენტებში გვხვდება საქმის გამრჩევის, მომრიგებლის თუ მედიატორის აღმნიშვნელი რამდენიმე ტერმინი. მცირედი განმარტება უნდა გავაკეთოთ ამ ტერმინებთან დაკავშირებით, რათა ნათელი გახდეს ტერმინების გამოყენების კონტექსტი შემდგომ ნაწილებში.

**მედიატორი/მედიატორე** – ტერმინი მედიატორი საქართველოში ადრეული პერიოდიდან უნდა გავრცელებულიყო, რადან იგი ყველა კუთხის დიალექტში გვხვდება. მედიატორი „მედიადან“ უნდა მომდინარეობდეს, რომელიც ლათინური სიტყვაა და „შუას“ აღნიშნავს. როდის უნდა შესისხლხორცებოდა ეს ტერმინი ქართულ ენას, ზუსტად არ არის ცნობილი. სულხან-საბა ორბელიანს იგი არა აქვს თავის ლექსიკონში შეტანილი, შესაძლოა, უცხოური წარმომავლობის გამო. ქართულ განმარტებებში<sup>10</sup> და მეგრულ<sup>11</sup> ლექსიკონებში მას მომრიგებელი, შუაკაცების მნიშვნელობა აქვს.<sup>12</sup>

**ბჭე** – ძველ ქართულ მწერლობაში სადავო საქმის გამრჩევი ყველა პირი, საერო თუ სასულიერო, ხელისუფლების მიერ დანიშნული თუ მხარეთა მიერ არჩეული, „მსაჯულად ან „ბჭედ“, ხოლო შედარებით გვიან – „მოსამართლედ“ იწოდებოდა. ეს ტერმინები ერთსა და იმავე კონტექსტშიც კი გამოიყენება ურთიერთმონაცვლეობით. დასავლეთ საქართველოში ტერმინმა „ბჭემ“ ხელისუფლების მოსამართლის შინა-არსი შეინარჩუნა, ხოლო აღმოსავლეთ საქართველოში XVIII საუკუნეში ტერმინი „ბჭე“ თანდათან ასცილდა ასეთ გაგებას და მთლიანად ჩვეულებით სამართალში გადაინაცვლა მედიატორის სახელწოდებად.<sup>13</sup> ივანე სურგულაძე მიიჩნევს, რომ ტერმინ „ბჭე“–ს ორგვარი შინაარსი აქვს: ზოგადი მნიშვნელობით ის მოსამართლეს, მსაჯულს აღნიშნავს, ვიწრო მნიშვნელობით კი – შუაკაცს, მედიატორს. მისი აზრით, ვახტანგის სამართლის წიგნში „ბჭე“ შუამავალი მედიატორეს მნიშვნელობით არის

<sup>10</sup> ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი, V, თბ., 1958, გვ. 151; მითითებული სალომე ბახია-ოქრუაშვილი, „აფხაზთა ჩვეულებითი სამართალი“, თბილისი, 2014, გვ. 130.

<sup>11</sup> ო. ქავია, მეგრულ-ქართული ლექსიკონი, II, თბ., 2002, 2040; მითითებული სალომე ბახია-ოქრუაშვილი, „აფხაზთა ჩვეულებითი სამართალი“, თბილისი, 2014, გვ. 130.

<sup>12</sup> ს. ბახია-ოქრუაშვილი, „აფხაზთა ჩვეულებითი სამართალი“, თბილისი, 2014, გვ. 130.

<sup>13</sup> მ. კეკელია, ტერმინ „ბჭის“ შინაარსისათვის ქართული სამართლის წიგნებში, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის „მაცნე“ №4, თბილისი, 1973, გვ. 169-170.

გამოყენებული.<sup>14</sup>

**რჯულის კაცი** - მედიატორი მოსამართლე ხევსურეთში. აღსანიშნავია, რომ ხევსურეთში სიტყვა „რჯული“ აღნიშნავდა როგორც სამედიატორო სასამართლოს, ისე ხევსურული ჩვეულებითი სამართლის ნორმების ერთობლიობას.<sup>15</sup>

**მორვეი/მორვილი/მორუალი** - მედიატორი სვანეთში.

**შუამავალი/შუაკაცი** - ძველ ქართულ მწერლობაში, მხარეთა მიერ ამორჩეული საქმის გამრჩევი პირი.<sup>16</sup> მოვლიანებით ეს ტერმინები გამოიყენება იმ პირების აღსანიშნავად, რომლებიც მხარეებს არწმუნებდნენ და ითანხმებდნენ მედიაციის პროცესზე.

**მეცქულარი/მოციქული/ნემსგამმდელი** - შუამავალი, შუაკაცი სვანურად, რომელიც ცდილობდა მხარეთა დათანხმებას შერიგების პროცესზე და იღვწოდა მათ შესარიგებლად, სანამ სამედიატორო პროცესი დაიწყებოდა.<sup>17</sup>

**ლეფხული/ლეფხვილ** - დაზარალებული მხარის მიერ ამორჩეული მოფიცარი, რომლის ჩართულობა უნდა უზრუნველყო დამნაშავეს. ერთი წყაროს მიხედვით, ლეფხულის მეშვეობით დგინდებოდა დამნაშავეს მიერ დაზარალებულისთვის მისაცემი კომპენსაციის ოდენობა.<sup>18</sup> ჩემი ინფორმატორის თანახმად, ლეფხული უფრო თავმდები მოფიცარის როლს ასრულებდა. მაგალითად, თუკი დანაშაულს მოწმე არ ჰყავდა და ეჭვმიტანილი უარყოფდა დანაშაულის ჩადენას, დაზარალებულის ოჯახი მოსთხოვდა ეჭვმიტანილს დაეფიცა თავად და ასევე დაზარალებულების მიერ დასახელებული ლეფხულების მეშვეობით. დაზარალებული იმათ ასახელებდა ლეფხულებად, ვის მიმართაც დიდი ნდობა ჰქონდა.<sup>19</sup>

**მახვში** - სვანეთში თავკაცს, უფროსს ნიშნავს. „ქორა მახვში“ ოჯახის უფროსს ეწოდებოდა. „სოფელი მახვშიობ“ - სოფლის უფროსს, თავკაცს.<sup>20</sup> მახვშები პატივცემული ადამიანები იყვნენ და მნიშვნელოვან როლს ასრულებდნენ მხარეთა შერიგების პროცესზე დასათანხმებლად.

<sup>14</sup> ივ. სურგულაძე, „საქართველოს სახელმწიფოსა და სამართლის ისტორიისათვის“, თბილისი 1952, გვ. 347.

<sup>15</sup> გ. დავითაშვილი, „სამედიატორო სასამართლო ანუ „რჯული“ ხევსურეთში“, თბილისი, 2001, გვ. 14, 16.

<sup>16</sup> მ. კეკელია, ტერმინ „ბჭის“ შინაარსისათვის ქართულ სამართლის წიგნებში, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის „მაცნე“ №4, თბ., 1973, გვ. 169.

<sup>17</sup> ს. ბახია-ოქრუაშვილი, „აფხაზთა ჩვეულებითი სამართალი, თბილისი, 2014, გვ. 131.

<sup>18</sup> ბ. ნიუარაძე, „თავისუფალი სვანი“, თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა 1962, გვ. 101.

<sup>19</sup> ეს ინფორმაცია მომართდა მედიატორმა, ბ-ნმა ქარიმ (ბარუკი) ფალიანმა, რომელსაც ვესაუბრე მესტიაში.

<sup>20</sup> ყ. ალაბგოვი, „ეგნატე გაბლიანი და სვანეთის ჩვეულებითი სამართალი“, მითითებული „ქართული ჩვეულებითი სამართალი“ მ. კეკელიას რედაქტორობით, თბილისი, 1990, გვ. 87 და 89.

## მედიაცია საქართველოში – ისტორიული ექსკურსი

მართლმსაჯულების დარგში პირველად ფორმას წარმოადგენს მედიტორთა ინსტიტუტი. შუამავლობა (mediation) იურისდიქციის ყველაზე ძველი ფორმაა, რომელიც აღწევს სისხლის აღების პერიოდს. თავისი წარმოშობით იგი ეკუთვნის ადამიანის, საზოგადოების განვითარების იმ ხანას, რომელსაც წინასახელმწიფოებრივი ეწოდება.<sup>21</sup> როგორც ალექსანდრე ვაჩიშვილი აღნიშნავს, „სამედიატორო წარმოება [...] მოწმობს იმას, რომ მტრულად განწყობილ დამოუკიდებელ სოციალურ ჯგუფებში იბადება ძალები, რომლებიც მიზნად ისახავენ ალაგმონ, შეკვეცონ განუსაზღვრელი დაუსრულებელი, თავაწყვეტილი შურისძიება და ერთგვარი ზღვარი დაუღონ გამანადგურებელ სისხლის აღებას.“<sup>22</sup>

საგვარეულო წყობის მოსპობის შემდგომ სამედიატორო წარმოების პარალელურად ჩნდება საჯარო/სახელმწიფოებრივი მართლმსაჯულების ფორმები. „ბჭე“<sup>23</sup> ასპარებზედ შემდეგ გამოდის, როცა საგვარეულო წესი ისპობა და სხვა მმართველობა არსდება. ამიტომ ბჭეს მმართველობა ირჩევს და არა მომჩივარი ან მოპასუხე. შუაკაცთან კი მმართველობას ხელი არა აქვს. და რადგანაც თავდაპირველად სამართლის ქმნა თვით მოჩივართა და მოპასუხეთა ნებაყოფლობაზეა დამოკიდებული, შუაკაციც ბჭეზე ადრე იბადება. ასე მოხდა საქართველოშიც.<sup>24</sup>

მაშასადამე, სამედიატორო სასამართლო საზოგადოებრივი განვითარების ადრეულ ეტაპზევე იყო ქართული (ისევე როგორც მსოფლიოს სხვა ხალხებისა) სამართლებრივი კულტურის ნაწილი. საქართველოში ამ ინსტიტუტმა განაგრძო არსებობა სახელმწიფოებრივი მართლმსაჯულების ფორმების დამკვიდრების შემდგომაც. აღნიშნულს ადასტურებენ ქართული სამართლის ძეგლებიც. ქვემოთ მიმოვიხილავთ რამდენიმე ქართული სამართლის წყაროს, რომლებიც გვაწვდიან ცნობებს სამედიატორო სასამართლოს შესახებ.

<sup>21</sup> ალ. ვაჩიშვილი, „ნარკვევები ქართული სამართლის ისტორიიდან“, წიგნი I, 1946, გვ. 11.

<sup>22</sup> ალ. ვაჩიშვილი, „ნარკვევები ქართული სამართლის ისტორიიდან“, წიგნი I, 1946, გვ. 8-9.

<sup>23</sup> აქ „ბჭე“ მოხსენიებულია ხელისუფლების მიერ დანიშნული მოსამართლის და არა მხარეთა მიერ არჩეული მედიატორის მნიშვნელობით.

<sup>24</sup> ნ. ურბნელი, „ათაბაგნი ბეჟა და აღბულა და მათი სამართალი“, სტამბა-ლიტოგრაფია მესხიევისა და პოლეთაევისა, ტფილისი, 1890 წ. გვ. 69.

„ბექა აღბუღას სამართლის წიგნი“<sup>25</sup> „შუათა ბრჭობის“ შესახებ მიუთითებს, რაც შუაკაცთა მემკვიდრეობით შეთანხმების მიღწევას და დაზავებას უნდა გულისხმობდეს. „შუა დასხმულნი“, „შუაეთა შესვლით“, „შუათა დახედვით“ – ეს ის ტერმინებია, რომლებიც არა სამეფო ხელისუფლების ნების გამოხატველ, არამედ იმ არასასამართლო ფუნქციის მატარებელ პირთა აღსანიშნავად გამოიყენება, ვისაც მხარეები ირჩევენ კონკრეტული საქმის განსახილველად.<sup>26</sup>

ივანე სურგულაძეც მიიჩნევს, რომ ვახტანგის სამართლის წიგნი<sup>27</sup> განსხვავებული შინაარსით არის ნახსენები მოსამართლე და ბჭე.<sup>28</sup> ავტორი მიუთითებს სამართლის წიგნის მე–3 მუხლზე, სადაც საუბარია მოსამართლეზე, და 215–ე მუხლზე, სადაც საუბარია ბჭეზე. ივანე სურგულაძის მოსაზრებით 215–ე მუხლში კანონმდებელი ბჭეს ეხება და მის საქმიანობას სხვაგვარად აღწერს, ვიდრე მოსამართლის საქმიანობას: „მამასადამე, ბჭე გაგებულა აქ როგორც შუამავალი მედიატორე“ – ამტკიცებს იგი.<sup>29</sup> თუმცა, ვახტანგის სამართლის წიგნის მიხედვით, „ბჭეს დადგენისათვის“ ხელმწიფემ უნდა უბრძანოს. იმისდა მიუხედავად, რომ „ბჭე“ ამ შემთხვევაში „დადგენილ“ მოხელედ ჩანს, ივ. სურგულაძე მას მაინც შუამავლის, შემარიგებელი მოსამართლის ფუნქციას ანიჭებს. ამის დასტურად ავტორს მოჰყავს 1657 წლის სიგელი, სადაც ვინმე ხიზანა, რომელსაც მკვლელობა ჰქონდა ჩადენილი, წერს, რომ იგი წარმდგარა მეფის სასამართლოს წინაშე. მას სიკვდილით სასჯელი ეკუთვნოდა, თუმცა „შუა შემოვიდნენ“ „ბჭენი და მოსამართლენი“ და შუამავლებით მას ეს სასჯელი ააცილეს. მამასადამე მეფის სასამართლოს გარდა ასპარეზზე გამოვიდა ბჭე, რომელიც შუაკაცი, შემარიგებელი იყო.<sup>30</sup>

ვახტანგ VI–ის სამართლის წიგნიში შემავალი ბერძნული სამართლის ქართული ვერსიაც იცნობს მედიატორს, მხოლოდ ბჭის სახელწოდებით: „უკეთუ ორსა კაცსა საჩივარი ჰქონდეს მოსამართლესთანა და არც ხელმწიფისა, არც პატრიარქისა, არც მიტროპოლიტისა, არც მოსამართლის საჩივარი და სამართალი არ მოინდომონ, და

<sup>25</sup> ბექას და აღბუღას სამართალი, ძველი ქართული კანონმდებლობის ძეგლი. შედგენილია XIII–XIV საუკუნეებში. შეტანილია ვახტანგ VI–ის სამართლის წიგნთა კრებულში მე–6 ნაწილად აღბუღას სამართლის სახელწოდებით.

<sup>26</sup> ს. ონიანი, „ტერმინ „ბჭის“ მნიშვნელობისათვის ძველ ქართულ სამართალში“, თსუ–ს იურიდიული ფაკულტეტის სამართლის ჟურნალი, №2, 2013, გვ. 16.

<sup>27</sup> ვახტანგ ბატონიშვილის ბრძანებით შექმნილი საკოდიფიკაციო კომისიის მიერ 1705–1708 წლებში შედგენილი კანონთა კრებული. კრებულის მეშვიდე ნაწილს შეადგენს „სამართალი ბატონისშვილის ვახტანგისა“, რომელიც შეიცავს შესავალსა და 270 მუხლს. ვახტანგის სამართლის წიგნის ძირითადი წყაროა ქართული ჩვეულებითი სამართალი.

<sup>28</sup> ამ შემთხვევაში ბჭე მომრიგებლის და არა მოსამართლის კონტექსტში გამოიყენება.

<sup>29</sup> ივ. სურგულაძე, „საქართველოს სახელმწიფოსა და სამართლის ისტორიისათვის“, თბილისი, 1952, გვ. 346–347.

<sup>30</sup> იქვე, გვ. 348.



იმ ორთა ერთი კაცი გამოირჩიონ, და იმასთან მივიდნენ, მოახსენონ, რომე ერთი საჩივარი გვაქვსო და რომელსაც თქუენ სამართალს გუიზამ, იმას ვჯერვართო, იმ მოსამართლეს ეწოდების ბჭე“ (მუხლი 136).<sup>31</sup>

საყურადღებოა, აგრეთვე, დავით ბატონიშვილის პროექტის<sup>32</sup> თავი სახელწოდებით „ბჭის გამორჩევისთვის“. პროექტით გათვალისწინებულია, რომ „ბჭეს დადგენისთვის“ შეიძლება ხელმწიფემ უბრძანოს, და შეიძლება თვითონ მხარეებმა ამოირჩიონ ბჭეები. თუ ბჭემ საქმის გარჩევა ვერ შესძლო, მაშინ მხარემ უნდა მიმართოს „უპირველესსა სამსაჯულოსა“, ე.ი. მეფის სასამართლოს.<sup>33</sup> დავით ბატონიშვილი თავის უფრო გვიანდელ შრომაში<sup>34</sup> წერს, რომ სამედიატორო სასამართლო ძირითადად რთულ და სავაჭრო საქმეებზე იმართებოდა. მედიატორები ფიცს დებდნენ, რომ პირუთვნელად გაარჩევდნენ საქმეს. იგი აგრეთვე აღნიშნავს, რომ სამეფო ოჯახის წევრებსაც თავისი სურვილის მიხედვით შეეძლოთ გამოსულიყვნენ მედიატორებად რომელიმე სადავო საქმეში.

საინტერესოა 1789 წლის ერთი სიგელი, რომელიც მოყვანილია ივ. სურგულაძის წიგნში. ძეგლის მიხედვით მოდავე მხარეებს, ზაალის შვილებსა და ბერუკაშვილებს შორის ყოფილა დავა, რომელიც ვერადავერ დამთავრებულა მეფის სასამართლოსთვის მიმართვითაც კი. ამის შემდგომ მათ დედოფლისთვის მიუპართავთ სამედიატორო სამართლის შესახებ და დედოფლის დასტური მიუღიათ. ძეგლში ვკითხულობთ: „ამ ორთავ მხარემ ზაალის შვილებმან მე ბეგთაბეგისშვილი მდივანი ბეგთაბეგ და გაბაშვილი ზაალ გამოგვირჩიეს, და ბერუკაშვილებმან მე, თურქისტანიშვილი იოანე, და მღვდელი შიო აღმოგვირჩიეს. ამ ორსავ მხრივ აღმორჩევით და ამათის ნებაყოფლობით ჩვენ ეს ზემომოხსენებულნი დავსხედით და ვილაპარაკეთ, და ორთავ მხრიდამ ამათი სარჩელი გამოვიძიეთ და გავშინჯეთ და, რაც წერილები ქონდათ მეფეთაგან და ან სხვა ძველი თუ ახალი წერილები, ყველა აღმოვიკითხეთ და გავჩხრიკეთ.“ შედეგად მათ გამოიტანეს გადაწყვეტილება, რომელსაც მხარეები დასჯერდნენ. გადაწყვეტილებას ხელს აწერს ოთხივე ამორჩეული პირი და მას ამტკიცებენ მეფე, დედოფალი, კათალიკოსი და ბატონიშვილები. ბატონიშვილები ამ გადაწყვეტილებას „გარიგების წიგნს“ ეძახიან,

<sup>31</sup> ციტირებული ს. ონიანი, „ტერმინ „ბჭის“ მნიშვნელობისათვის ძველ ქართულ სამართალში“, თსუ-ს იურიდიული ფაკულტეტის სამართლის ჟურნალი, №2, 2013, გვ. 16-17.

<sup>32</sup> „სამართალი ბატონისშვილის დავითისა“, ქართული სამართლის კოდიფიკაციის პროექტი, რომელიც შეადგინა დავით ბატონიშვილმა XIX საუკუნის დასაწყისში.

<sup>33</sup> ივ. სურგულაძე, „საქართველოს სახელმწიფოსა და სამართლის ისტორიისათვის“, თბილისი, 1952, გვ. 349.

<sup>34</sup> Царевич Давид, Обзорение Грузии о части прав и законовeдения 1813, 254-258 მითითებული ივ. სურგულაძე, „საქართველოს სახელმწიფოსა და სამართლის ისტორიისათვის“, თბილისი, 1952, გვ. 354-356.

დედოფალი კი მას „სამართლიანად მორიგებას“ უწოდებს.<sup>35</sup>

ისიღორე დოლიძე, იკვლევს რა „ჩვეულებით სჯულს“<sup>36</sup>, აღნიშნავს, რომ მის მე-60 მუხლში მითითებულია მოსამართლეთა სხვადასხვა კატეგორია: მედიატორე, ბჭე, მოსამართლე. მედიატორეს ამორჩევა ხდებოდა მხარეთა მიერ. მოსამართლეთა დანიშვნა კი ხდებოდა ხელმწიფის ბრძანებით.<sup>37</sup>

1868 წელს გატარდა სასამართლო რეფორმა კავკასიაში. ეს პერიოდი ჩვენთვის ცნობილია იმითაც, რომ ამ დროს მოღვაწეობდა ილია ჭავჭავაძე დუშეთში, ჯერ როგორც მომრიგებელი შუამავალი (შუაკაცად, როგორც თვითონ უწოდებს), და რეფორმის შემდგომ, უკვე როგორც მომრიგებელი მოსამართლე.<sup>38</sup> სწორედ ამ პერიოდში მოისპო ბატონყმობა საქათველოში და მომრიგებელი შუამავალის ვალდებულებებშიც შედიოდა ურთიერთობების მოწესრიგება ყმობიდან გამოსულ გლეხებსა და მემამულეებს შორის (სიგელების შედგენა, მიწის ნაკვეთის სიდიდისა და მასზე გადასახადის მოცულობის განსაზღვრა, მემამულეთა და გლეხთა ნებაყოფლობითი მორიგების გაფორმება და დამოწმება, ა.შ.). მასვე შეეძლო იმ საჩივრების განხილვა, რომლებიც სასოფლო მმართველობის წესების დარღვევასთან იყო დაკავშირებული. თუმცა ამ შემთხვევაში, მომრიგებელი მოსამართლის სტატუსში სიტყვა „მოსამართლე“ უფრო ჭარბობს, ვიდრე „მომრიგებელი“. მომრიგებელ მოსამართლეს, დებულებით, რომელიც 1866 წ. 22 ნოემბერს შევიდა ძალაში, მინიჭებული ჰქონდა ერთპიროვნული სასამართლო ხელისუფლება მის სამოქმედო უბანზე. მას ექვემდებარებოდა როგორც სამოქალაქო ხასიათის დავები, ისე სისხლის სამართლის დანაშაულებანი და გარდახდომილებანი, რაც განსაზღვრული იყო წესდებებით სამოქალაქო და სისხლის სამართლის სამართალწარმოების შესახებ.<sup>39</sup>

მართალია, თავად ილიას მოღვაწეობა კეთილსინდისიერებით, მიუკერძოებლობით და სიმართლით გამოირჩეოდა, მაგრამ მთლიანად რეფორმა ძალზე მტკივნეული აღმოჩნდა ქართველი ხალხისთვის. რეფორმის შედეგად დამყარდა რუსული კანონები, შეიზღუდა მომრიგებელის არჩევითობა ადგილობრივი კადრებიდან,

<sup>35</sup> ივ. სურგულაძე, საქართველოს სახელმწიფოსა და სამართლის ისტორიისათვის, თბილისი 1952, გვ. 351.

<sup>36</sup> „საქართველოს ძველითად და ჩვეულებითად ქართველ მეფეთა დროთა შემოდებულნი სჯულნი“ ხელნაწერი, რომელიც აღმოაჩინა პროფ. პ. გუგუშვილმა. ივარაუდება, რომ ეს ადათების კრებული მზად იყო 1813 წელს, იხ. <https://ka.wikipedia.org/> ნანახია: 10.11.2016 წ.

<sup>37</sup> ი. დოლიძე, „საქართველოს ჩვეულებითი სჯული“, თბილისი, 1960, გვ. 133-134.

<sup>38</sup> საზოგადოებრივ-ლიტერატურული მოძრაობა XIX საუკუნის 60-70-იან წლებში, გვ. 39, ხელმისაწვდომია [http://dspace.nplg.gov.ge/bitstream/1234/3003/1/KartuliLiteraturisistoria\\_Tomi\\_IV.pdf](http://dspace.nplg.gov.ge/bitstream/1234/3003/1/KartuliLiteraturisistoria_Tomi_IV.pdf) ნანახია 09.11.2016 წ.

<sup>39</sup> იხ., ბლოგი, „იურისტი ილია ჭავჭავაძე“, ხელმისაწვდომია <http://www.tabula.ge/ge/tablog/93203-iuristi-ilia-chavchavadze> ნანახია: 09.11.2016 წ.

საქმისწარმოებაც რუსულად მოითხოვებოდა. თავად ილია აკრიტიკებდა რეფორმას: ნუთუ მომრიგებელ მოსამართლედ „კაცის შოვნა და პოვნა იაროსლავში უფრო ადვილია საქართველოსთვის, ვიდრე თვით საქართველოში?“<sup>40</sup> განსაკუთრებით მიუღებელი აღმოჩნდა რუსული სამართლებრივი წყობა მთის ხალხისთვის. მათ ძალიან უჭირდათ უცხო სამართალთან შეგუება. მთის ჩვეულებით სამართალსა და რუსულ კანონებს შორის შეუსაბამობას არაერთხელ გამოეხმაურა ვაჟა-ფშაველა. „ხევსურების ყველა საქმეები რომ ახალ კანონს ჩაეგდო ხელში, აქამდის ხევსურეთი კამჩატკაში დაარსდებოდა“ – ამბობს ვაჟა. იგი ხედავდა, რომ უცხო სამართალი ძალიან რყენიდა და მორალურად აკნინებდა მთის ხალხს და აკარგვინებდა რწმენას სიმართლისა, რომელიც რუსულ სასამართლოებში ქრთამად მიტანილი არყის რაოდენობით იზომებოდა.<sup>41</sup>

სწორედ მთის ხალხის შეუგუებლობამ უცხო კანონებისადმი და ჩვეულებითი სამართლის სიმტკიცემ განაპირობა ის, რომ მათში ყველაზე დიდხანს შემორჩა სამედიატორო პროცესი. კვლევის შემდგომინაწილი ეთმობა მედიაციის პროცესის უფრო დეტალურ აღწერას საქართველოს რამდენიმე კუთხეში, სადაც ზოგან დღესაც კი ცოცხლობს ეს ინსტიტუტი.

<sup>40</sup> იქვე.

<sup>41</sup> გ. დავითაშვილი, „ვაჟა-ფშაველა და ქართული ჩვეულებითი სამართალი“, ქართული ჩვეულებითი სამართალი მ. კეკელიას რედაქტორობით, თბილისი, 1990, გვ. 38.

## ქართული ისტორიული მედიაციის ზოგადი განხილვა

**ფორმა** – სამედიატორო ინსტიტუტი არ იყო მუდმივმოქმედი დაწესებულება. მედიატორთა შემადგენლობას მხარეები თვითონ განსაზღვრავდნენ ყოველი კონკრეტული საქმისათვის.

**მიზანი** – მედიაციის უპირველესი საგანი მხარეთა მშვიდობით შერიგება იყო. მედიატორებს გამოჰქონდათ გადაწყვეტილება, რომლითაც, როგორც წესი, დამნაშავეს ეკისრებოდა კომპენსაცია დაზარალებულის სასარგებლოდ. გადაწყვეტილება ისეთი უნდა ყოფილიყო, რომ დაეკმაყოფილებინა დაზარალებული მხარე და იძულებული გაეხადა, უარი ეთქვა მტრობაზე, შურისძიებაზე.<sup>42</sup> უნდა აღინიშნოს, რომ გვიანდელ დროში კომპოზიციამ დაკარგა არსებითი ელემენტი. ძველადაც კი, მას მნიშვნელოვანი, მაგრამ მეორადი დატვირთვა ჰქონდა. კომპოზიციის დაკისრება მხოლოდ იარაღი იყო მხარეების შესარიგებლად. ხდებოდა ისეც, რომ დაზარალებული უარს ამბობდა მიკუთვნებული ანაზღაურების მიღებაზე. მიხაკო კეკელია, აღწერს რა ფშავის ჩვეულებით სამართალს, აღნიშნავს, რომ დაზარალებულის მიერ საზღაურის მიღება თითქმის გაქრობის გზას ადგას დღეს; ხალხი მას მეტად ერიდება.<sup>43</sup> ადრეც და ახლაც, მედიაციის უპირველესი მიზანი მხარეთა შერიგება იყო.

**მედიაციაზე დათანხმება** – „შერიგებაზე ჯერ **შუამავლობა**, მერე მედიატორობა.“<sup>44</sup> მედიაციის წინაზე ეტაპი იყო მხარეთა დაყოლიება შერიგების პროცესზე. ამანვე შუაკაცები, როგორც წესი, ოჯახის ახლობლები და ზოჯერ სოფლის თავაკაცები ზრუნავდნენ. შუაკაცები მხარეებს მტრობის უპერსპექტივობაში არწმუნებდნენ და მოუწოდებდნენ, რომ ადათობრივ სამართალში გათვითცნობიერებული პიროვნებებისთვის მიენდოთ საქმის გადაწყვეტა და სამართლიანი გადაწყვეტი-

<sup>42</sup> ა. მახარაძე, „კონფლიქტის არსი და მედიაციის ინსტიტუტი ისტორიულ ასპექტში“, შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი, შრომები III, გამომცემლობა „უნივერსალი“, თბილისი, 2011, გვ. 44. ISSN 1512-31-62.

<sup>43</sup> მ. კეკელია, „ქართული ჩვეულებითი სამართალი“, 1993, გვ. 197-198.

<sup>44</sup> მ. კეკელია, „მასალები ფშავის ჩვეულებით სამართალზე“, რე. 1986, გვ. 8. მითითებული „ქართული ჩვეულებითი სამართალი“ მ. კეკელიას რედაქტორობით, თბილისი, 1993, გვ. 189.

ლების აღსრულებით მიეღწიათ საბოლოო შერიგებისთვის.<sup>45</sup> ზოგიერთ კუთხეში მხარეთა დათანხმების პროცესში შეიძლება თემის ყრილობაც კი ჩარეულიყო. მაგალითად, სვანეთსა და ხევსურეთში თუ მოსისხლე გვარებს შორის მტრობა დიდხანს გაგრძელდებოდა და შუამავალთა მცდელობა შედეგს არ გამოიღებდა, მაშინ თემის ყრილობა ურჩევდა მხარეებს დათანხმებულებიყვნენ შერიგებაზე, წინააღმდეგ შემთხვევაში თემის რისხვითა და ჭირსა და ლხინში საზოგადოებისგან განრისხვით ემუქრებოდნენ.<sup>46</sup>

**მედიატორთა რაოდენობა** – მედიატორთა რაოდენობა დანაშაულის სიმძიმეზე იყო დამოკიდებული. მართვ დაგვებზე შეიძლება 2–4-მდე მედიატორი დანიშნულიყო. რთულ საქმეებზე, როგორც არის მკვლელობა, მათი რაოდენობა 12–ს აღწევდა.

**არჩევის/დანიშვნის წესი** – მედიატორებს, როგორც წესი, მხარეები ირჩევდნენ. მედიატორები შეიძლება შუაგაცებსაც დაესახელებინათ. როგორც წესი, მხარეები თანაბარი რაოდენობის მედიატორს ასახელებდნენ. თუმცა არსებობდა განსხვავებული წესიც. მაგალითად, მკვლელობის საქმეში მომჩივანს ზოგიერთ თემში შეიძლებოდა მეტი მედიატორის დანიშვნის უფლება ჰქონოდა.<sup>47</sup> თუკი ერთი მხარის მიერ დასახელებული მედიატორი მიუღებელი იქნებოდა მეორე მხარისათვის, მას შეეძლო მოეთხოვა მედიატორის აცილება, რა შემთხვევაშიც ახალი მედიატორი უნდა დასახელებულიყო. იმისდა მიუხედავად, თუ რომელი მხარის მიერ იყო მედიატორი არჩეული, იგი მიუკერძოებელი უნდა ყოფილიყო დავის განხილვისას.

**მედიატორის მახასიათებლები** – მედიატორებად ირჩევდნენ ისეთ კაცებს, რომლებიც გამოირჩეოდნენ პატიოსნებით, ავტორიტეტით, გონიერებით, სიძინჯით, ღვთისმოშიშობით. მედიატორს უნდა ჰქონოდა კარგი კომუნიკაციის უნარი და შეძლებოდა „სათანადო სიტყვების მოძებნა კრიტიკულ სიტუაციაში.“<sup>48</sup> როგორც წესი, მედიატორებად იყვნენ მხოლოდ კაცები; განსაკუთრებით, ასე იყო მთაში. მხოლოდ გამონაკლის შემთხვევებში, და ისიც უფრო გვიანდელ პერიოდში, შეიძლება ყოფილიყო შემთხვევა, როდესაც ქალი დაინიშნებოდა მედიატორად. მაგალითისთვის მოიხსენიება ეკატერინე ჟორჟოლიანი, რომელიც XX საუკუნის

<sup>45</sup> გ. დავითაშვილი, „სამედიატორო სასამართლო ანუ „რჯული“ ხევსურეთში“, თბილისი, 2001, გვ. 37–38.

<sup>46</sup> გ. დავითაშვილი, „სასამართლო ორგანიზაციისა და პროცესთან დაკავშირებული ძირითადი ასპექტები ქართულ ჩვეულებით სამართალში“, ქართული სამართლის ისტორია, შემდგენელი ბექა ქანთარია, გამომცემლობა „იურისტის სამყარო“ თბილისი, 2011, გვ. 88–89.

<sup>47</sup> ყ. აღაბეგოვი, „ეგნატე გაბლიანი და სვანეთის ჩვეულებითი სამართალი“, მითითებული „ქართული ჩვეულებითი სამართალი“ მ. კეკელიას რედაქტორობით, თბილისი, 1990, გვ. 98.

<sup>48</sup> გ. დავითაშვილი, „სამედიატორო სასამართლო ანუ „რჯული“ ხევსურეთში“, თბილისი, 2001, გვ. 38.

დასაწყისში იყო მედიატორი სვანეთში.<sup>49</sup> XX საუკუნეში უკვე მეტად ვხვდებით ქალ მედიატორებს, განსაკუთრებით – ბარში.

**გადაწყვეტილების გამოტანა** – მედიაციის პროცესი სრულდებოდა მედიატორთა გადაწყვეტილებით. გადაწყვეტილება მიიღებოდა არა ხმათა უმრავლესობით, არამედ მედიატორთა/რჯულის კაცთა ერთსულოვნებით.<sup>50</sup> თუკი ვერ მოხდებოდა ყველასათვის მისაღები გადაწყვეტილების გამოტანა, მაშინ „რჯული“ იშლებოდა და მხარეებს ურჩევდნენ აერჩიათ ახალი მედიატორები. თუ რატომ ვერ შეთანხმდნენ და ვინ რა პოზიციამზე იდგა, ეს საიდუმლოდ რჩებოდა.<sup>51</sup> გადაწყვეტილება ზეპირი ფორმით გამოიტანებოდა.<sup>52</sup> დღესდღეობით, სვანეთში გადაწყვეტილების ძირითადი არსი ყალიბდება წერილობით და მას ყველა მედიატორი აწერს ხელს.<sup>53</sup>

**აღსრულების მექანიზმი** – როგორც წესი, მედიაციის პროცესის დაწყებამდე მხარეები დებდნენ ფიცს, რომ მედიატორის გადაწყვეტილებას ნებაყოფლობით შეასრულებდნენ. მედიატორთა გადაწყვეტილების აღსრულებაში დიდი როლი აკისრია რწმენას, რომ ფიცის შეუსრულებლობა დიდ უბედურებას მოუტანს მის გამტეხს.<sup>54</sup> მედიატორთა გადაწყვეტილების შესრულება მხარეთა ნებაზე იყო დამოკიდებული. ხდებოდა ისეც, რომ გადაწყვეტილების შესრულებას თავად საზოგადოება უზრუნველყოფდა: „თუ დამნაშავე არ დაემორჩილებოდა თემს და მის გადაწყვეტილებას არ შეასრულებდა, თემი თავად გამოიყვანდა მის საკლავს და ხატში დაკლავდა.“<sup>55</sup> თუმცა, თუკი რომელიმე მხარე არაობიექტურად ჩათვლიდა გამოტანილ განაჩენს, მას შეეძლო მოეთხოვა პროცესის ხელახალი ჩატარება სხვა მედიატორების მონაწილეობით. ასე, მედიაციის პროცესი შეიძლება რამდენიმეჯერაც ჩატარებულიყო.

**მედიატორთა ანაზღაურება** – მედიატორთა ანაზღაურების შესახებ ცნობები განსხვავდება. ხევსურეთში რჯულის კაცები თავიანთი საქმიანობისთვის გასამრჯელოს იღებდნენ. ნიკო ხიზანიშვილის (ურბნელის) განმარტებით, გასამრჯელოს

<sup>49</sup> მის შესახებ მცირედი ინფორმაცია და ფოტო მოიპოვება საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკის არქივში, ხელმისაწვდომია <http://www.dspace.nplg.gov.ge/browse?type=subject&order=ASC&ppp=20&value=მედიატორი+ნანახია:10.11.2016> წ.

<sup>50</sup> გ. დაითაშვილი, „სამედიატორო სასამართლო ანუ „რჯული“ ხევსურეთში“, თბილისი, 2001, გვ. 45.

<sup>51</sup> იქვე, გვ. 60.

<sup>52</sup> იქვე, გვ. 87.

<sup>53</sup> ეს ინფორმაცია მომაწოდა მედიატორმა, ბ-ნმა ქარიმ (ბაჩუკი) ფალიანმა, რომელსაც ვესაუბრე მესტიაში.

<sup>54</sup> დ. ჯალაბაძე, „ქართული ჩვეულებითი სამართლის საკითხები ისტორიკოს დიმიტრი ბაქრაძის შრომებში“, მითითებულია „ქართული ჩვეულებითი სამართალი“ მ. კეკელიას რედაქტორობით, თბილისი, 1988, გვ. 60.

<sup>55</sup> მ. კეკელია, „ქართული ჩვეულებითი სამართალი“, თბილისი, 1993, გვ. 199.

ოდენობა დამოკიდებული იყო მათ მიერ გამოტანილ გადაწყვეტილებებზე, ისევე როგორც მხარეების ეკონომიკურ მდგომარეობაზე. რაც მეტი „დრამის“ გადახდას დააკისრებდნენ დამნაშავეს, მით მეტი გასამრჯელოს მიღების უფლება ჰქონდათ მათ მხარეებისაგან. როგორც წესი, „დრამის“ გამამხდელი მხარე უფრო ხშირად ნაკლებს იხდიდა, ვიდრე „დრამის“ მიმღები. თუმცა, თუკი ერთი ან ორივე მხარე ღარიბი იყო, მედიატორები ამცირებდნენ გადასახადს ან საერთოდ უარს ამბობდნენ მის მიღებაზე.<sup>56</sup> ბესარიონ ნიჟარაძის ცნობით, სვანეთში მედიატორებს ეძლეოდა გასამრჯელო თითო „ლერქვაში“ (სამი მანეთის ღირებულების ნივთი).<sup>57</sup> თუმცა, ორივე მედიატორმა, ვისაც ვესაუბრე სვანეთში, აღნიშნა, რომ დღეს მედიატორები არ იღებენ საზღაურს. მიიჩნევა, რომ ეს კეთილი და საღვთო საქმეა, რომელსაც ისინი უსასყიდლოდ ასრულებენ. აფხაზეთში მედიატორები თავიდან გასამრჯელოს არ იღებდნენ. გასამრჯელოს აღება მეფის რუსეთის ადმინისტრაციული მოწყობის დროს დამკვიდრდა, ისიც მოგვიანებით, XIX საუკუნის მეორე ნახევარში.<sup>58</sup>

**ღავის საგანი** – მთაში სამედიატორო სასამართლოს განსჯადი იყო სისხლის სამართლის დანაშაულები, ისევე როგორც ქონებრივი და საოჯახო დავები. ბარში სამედიატორო სასამართლო, ძირითადად საოჯახო (ოჯახის გაყრის) და სამეზობლო დავების მომწესრიგებლად გვევლინებოდა.

**შერიგების დაწყების ვადა** – თითოეულ კუთხეს თუ თემს თავისი წესი ჰქონდა, როდის შეიძლებოდა შერიგების პროცესის დაწყება. ეს განსაკუთრებით მკვლევლობის შემთხვევებს ეხებოდა. ფშავში, მაგალითად, მკვლევლობიდან სამ წელზე ადრე არ შეიძლებოდა შერიგების პროცესზე ზრუნვა.<sup>59</sup> თუმცა, აფხაზეთში, სადაც შედარებით გვიან და რთულად მკვიდრდებოდა მედიაციის კულტურა (უფრო მყარი სისხლის აღების ტრადიციის გამო), თემის გამორჩეული უხუცესები მკვლევლობის ჩადენისთანავე დაზარალებულის უახლოეს ნათესავებთან ცდილობდნენ მოლაპარაკებას, რომ მედიატორები ამოერჩიათ და ოჯახი კონფლიქტის მშვიდობიანად მოგვარებაზე დაეთანხმებინათ.<sup>60</sup>

<sup>56</sup> გ. დავითაშვილი, „სამედიატორო სასამართლო ანუ „რკული“ ხევსურეთში“, თბილისის უნივერსიტეტის გამოცემლობა, თბილისი, 2001, გვ. 74–76.

<sup>57</sup> მ. კვეკელია, „სვანეთის სულხან-საბას – ბესარიონ ნიჟარაძის – დაკვირვებები სვანურ ჩვეულებით სამართალზე“, მითითებული „ქართული ჩვეულებითი სამართალი“ მ. კვეკელიას რედაქტორობით, თბილისი, 1988, გვ. 89.

<sup>58</sup> ს. ბახია-ოქრუაშვილი, „აფხაზთა ჩვეულებითი სამართალი“, თბილისი, 2014, გვ. 131.

<sup>59</sup> მ. კვეკელია, „ქართული ჩვეულებითი სამართალი“, თბილისი, 1993, გვ. 189.

<sup>60</sup> ს. ბახია-ოქრუაშვილი, „აფხაზთა ჩვეულებითი სამართალი“, თბილისი, 2014, გვ. 130.

## საქართველოს სალკეულ მხარეთა თავისებურებანი

შემდგომ ნაწილში მოკლედ შევეხებით საქართველოს ოთხ კუთხეში: სვანეთში, ხევსურეთში, ფშავსა და აფხაზეთში არსებულ მედიაციის ტრადიციას, რაც უკეთეს წარმოდგენას შეგვიქმნის თავად მედიაციის პროცესსა და თითოეული კუთხისთვის დამახასიათებელ თავისებურებებზე.

### სვანეთი

სვანეთში მოდავე მხარეების შერიგებას ახდენდნენ მედიატორები, იგივე „მორუალები“.<sup>61</sup> თუმცა, სანამ მორვალამდე მივიდოდა საქმე, საჭირო იყო მხარეების დათანხმება შერიგების პროცესზე. ამაზე მაცქულარები (იგივე შუაკაცები) ზრუნავდნენ. შესაძლოა მხარეთა დათანხმებაში მახვშსაც შეესრულებინა შუაკაცის როლი.<sup>62</sup> ხშირად, ნაკლებად ძვირად შემაჯავებებში, თვითონ მახვშებსვე შეეძლოთ გაერჩიათ საქმე. რთულ საქმეზე დაზარალებულის დასათანხმებლად მნიშვნელოვან როლს ასრულებდა თავად დამნაშავის მიდგომა. კერძოდ, მედიატორი ბ-ნი ქარიმ ფალიანი, რომელსაც მესტიაში ვესაუბრე, აღნიშნავს: დამნაშავემ ხატის წინაშე უნდა თქვას, თვითონ რომ ყოფილიყო დაზარალებულის ადგილზე, და დაზარალებულს დაეზარალებინა იგივენაირად, როგორც დამნაშავემ დააზარალა დაზარალებული, შეურიგდებოდა თუ არა დამნაშავე დაზარალებულს. თუკი დამნაშავე იტყვის, რომ ის შეურიგდებოდა, მაშინ ისინი ერთმანეთის წინაშე „ტოლი“ არიან და შერიგების პროცესზე დაზარალებულის დათანხმება იოლდება. თუკი ამას არ იტყვის დამნაშავე, მაშინ შერიგება, როგორც წესი, არ ხდება.<sup>63</sup>

მხარეთა შერიგების პროცესზე დათანხმების შემდგომ ჯერი მედიატორებზე დგებოდა. „მორვარ ღერმეთი ნაწასვ ლიხ“ – მორვეები ღვთისგან გაჩენილნი არი-

61 გ. მერაბიშვილი, „რუსუდან ხარაძის ღვაწლი ქართული ჩვეულებითი სამართლის შესწავლაში“, მითითებული: ქართული ჩვეულებითი სამართალი მიხაკო კეკელიას რედაქტორობით, 1990. გვ. 110.

62 ბ. ნიჟარაძე, „თავისუფალი სვანი“, ისტორიულ-ეთნოგრაფიული წერილები, ტ. 1, თბილისი, 1962, გვ. 95.

63 ეს ინფორმაცია მომალადა მედიატორმა, ბ-ნმა ქარიმ (ბაჩუკი) ფალიანმა, რომელსაც ვესაუბრე მესტიაში.



ანო – იტყვის ხოლმე სვანი.<sup>64</sup> მორვებიც ამ ნდობას დიდი პაუსიხისმგებლობით ეკიდებოდნენ. ეწინააღმდეგებოდათ საქმის გარჩევის დროს წარმოთქმული ფიცის მათდაუნებურად გატეხვისაც.<sup>65</sup> ამიტომ მორვები მედიატორობას ადვილად არ თანხმდებოდნენ. ეგნატე გაბლიანი მიუთითებს მედიატორობაზე პირის დათანხმების საინტერესო ხერხს: მხარე იშოვიდა რაიმე საეკლესიო ნივთს და ადევნებდა თვალყურს იმ პირს, ვინც არ თანხმდებოდა მედიატორობაზე. როდესაც ეს პირი სახლში შევიდოდა, მხარე შეჰყვებოდა და საეკლესიო ნივთზე ხელს მოაკიდებინებდა და ამავე დროს დააფიცებდა, რის შემდეგად ამ პირს აღარ ჰქონდა უფლება უარი ეთქვა მედიატორობაზე.<sup>66</sup>

მორვების რაოდენობა მარტივ სამოქალაქო საქმეზე უნდა ყოფილიყო 3–5, ხოლო რთულ საქმეებზე, მაგალითად, მძიმე დაჭრა, მეუღლის მიერ მეორე მეუღლის მიტოვება – 5–7. მკვლევლობაზე მორვების რიცხვი 12–24–მდეც შეიძლებოდა ყოფილიყო.<sup>67</sup> როგორც წესი, მხარეები თანაბარი რაოდენობის მედიატორებს ასახელებდნენ. თუმცა განსხვავებული წესიც არსებობდა. მაგალითად, კალის თემში (ბალს ზემო სვანეთში) XX საუკუნის შუა ხანებისთვის დაინერგა წესი, რომლის მიხედვითაც მედიატორ–მოსამართლეთა მთელ შემადგენლობას დაზარალებული ასახელებდა და უკლებლივ ყველას დამნაშავე მხარე „შოულობდა“.<sup>68</sup> მორვები არ უნდა იყვნენ არც ერთი მხარის არც მტერი, არც მოყვარე.<sup>69</sup>

მედიაციის პროცესი, როგორც წესი, იწყებოდა მომჩივანის ოჯახში მისვლით და საქმის გარემოებების მოსმენით. ამის შემდგომ მიდიოდნენ მოპასუხის ოჯახში, სადაც

<sup>64</sup> ბ. ნიჟარაძე, „თავისუფალი სვანი“, ისტორიულ–ეთნოგრაფიული წერილები, ტ. 1, თბილისი, 1962, გვ. 94.

<sup>65</sup> მედიატორმა ბ–ნმა ვასო კვანჭიანმა, რომელსაც ვესაუბრე სოფ. ლატალში, აღნიშნა, რომ დღეს ზოგიერთი მედიატორი იფიცება არა იმაზე, რომ აუცილებლად სწორ გადაწყვეტილებას მიიღებს, არამედ იმაზე, რომ მისი ჭკუა და გონება რასაც გასწავდება, იმდენად სწორ გადაწყვეტილებას გამოიტანს. ეს ფორმა უფრო რბილია, როგორც ჩანს. ამით ხდება იმ შემთხვევის დაზღვევა, რომ თუკი მედიატორი არა განზრახ, არამედ უყურადღებობის, ან თვითონ მხარეთა არასწორი ჩვენების საფუძველზე, გამოიტანს არასწორ გადაწყვეტილებას, იგი ფიცის გამტეხად არ ჩაითვალოს.

<sup>66</sup> ყ. აღაბეგოვი იხმობს ციტატას ეგნატე გაბლიანისაგან, „ეგნატე გაბლიანი და სვანეთის ჩვეულებითი სამართალი“, მითითებული „ქართული ჩვეულებითი სამართალი“ მ. კეკელიას რედაქტორობით, თბილისი, 1990, გვ. 98.

<sup>67</sup> ყ. აღაბეგოვი, „ეგნატე გაბლიანი და სვანეთის ჩვეულებითი სამართალი“, მითითებული „ქართული ჩვეულებითი სამართალი“ მ. კეკელიას რედაქტორობით, თბილისი, 1990, გვ. 98.

<sup>68</sup> გ. დავითაშვილი, „სასამართლო ორგანიზაციისა და პროცესთან დაკავშირებული ძირითადი ასპექტები ქართულ ჩვეულებითი სამართალში“, მითითებული „ქართული სამართლის ისტორია“, შემდგენელი ბ. ქანთარია, „იურისტების სამყარო“ 2014, გვ. 93.

<sup>69</sup> ეგ. გაბლიანი, „თავისუფალი სვანეთი“, თბილისი, 1927, მითითებული ყ. აღაბეგოვი, „ეგნატე გაბლიანი და სვანეთის ჩვეულებითი სამართალი“, მითითებული „ქართული ჩვეულებითი სამართალი“ მ. კეკელიას რედაქტორობით, თბილისი, 1990, გვ. 98.

მედიატორები დაწვრილებით გადასცემდნენ „საჩივარს“ და ისმენდნენ მოპასუხის პასუხს. ორივე ოჯახი უხვად მასპინძლობდა მორევებს; საქმის გარემოებების მოსმენა ხდებოდა სუფრის ფონზე. როგორც წესი, ამგვარი „მოსმენ-გადაცემა“ გრძელდება რამდენიმე დღე. რთულ საქმეზე შეიძლება უფრო დიდხანსაც გაგრძელებულიყო. ბესარიონ ნიჟარაძე აღნიშნავს, რომ „ისე ტკბილად, დარბილებით გადასცემენ საჩივარს მოპასუხეს და მოპასუხისას მომჩივანს, რომ ორთავეს დასახვედენ ერთმანეთის წინაშე მთხოვნელად, მომნანებლად და მხოლოდ სიმართლის მეძიებლად.“<sup>70</sup> როგორც ჩანს, მედიატორების ამგვარი მიდგომა, მათი კომუნიკაციის უნარი და ფსიქოლოგიური სიბრძნე იყო მხარეთა შერიგების საწინდარი.<sup>71</sup>

მედიაციის პროცესში განსაკუთრებული დატვირთვა ჰქონდა ფიცს. მედიატორი, რომელთანაც მე ქმონდა საუბარი მესტიასა და სოფელ ლატალში, ისევე როგორც წყაროები, რომელსაც გავეცანი, აღნიშნავენ ფიცის მნიშვნელობას პროცესის ყველა ეტაპზე. პირველ რიგში იფიცებოდნენ თავად მედიატორები იმის შესახებ, რომ საქმეს მიუკერძოებლად და სწორად განიხილავდნენ. ამას გარდა, მედიატორები აფიცებდნენ მხარეებს რომ ისინი სიმართლეს იტყობდნენ საქმესთან დაკავშირებით.<sup>72</sup> მსგავსად იფიცებდნენ მოწმეები და პროცესის სხვა მონაწილე პირები. მხარეები წინასწარაც დებდნენ ფიცს, რომ ისინი უკლებლივ შეასრულებდნენ მედიატორების მიერ საქმის მოსმენის შედეგად გამოტანილ განაჩენს. და ბოლოს, მხარეთა შერიგების შემთხვევაში, კვლავ აფიცებდნენ მედიატორები მხარეებს, რომ ისინი აღარ განაახლებდნენ შუღლს იმავე საკითხის გამო. ეს „ერთგულების ფიცი“ შერიგებულ გვართა მომავალი სიმშვიდის გარანტია უნდა ყოფილიყო.<sup>73</sup> დაფიცება, როგორც წესი, ეკლესიის ეზოში სრულდებოდა. ხატზე დაფიცება მხოლოდ რთულ საქმეებზე ხდებოდა, შედარებით მარტივ დავებზე ეკლესიას არ აწუხებდნენ და ხატის გარეშე დებდნენ ფიცს.<sup>74</sup>

საქმის გარემოებების გამოკვლევის შემდგომ მორვეები განცალკევებოდნენ, როგორც წესი, სოფლის განაპირა ადგილას და განიხილავდნენ საქმეს. ამ დროს მედიატორები სთხოვდნენ მათ შორის უფრო სანდო პირს, მახვშს, რომ მას პირველს წარმოეთქვა თავისი შეხედულება, თუ რა ანაზღაურებაუნდა დაეკისროს

<sup>70</sup> ბ. ნიჟარაძე, „თავისუფალი სვანი“, თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა 1962, გვ. 96–97.

<sup>71</sup> იმავე მიდგომას ეხვდებით ხევსურეთშიც.

<sup>72</sup> თუკი მხარეები მოიტყუებდნენ, ამას შეიძლება მოჰყოლოდა მედიატორების არასწორი გადაწყვეტილება, რაც (იმისდა მიუხედავად, რომ ეს მათდაუნებურად ხდებოდა) უკვე თავად მედიატორებს აყენებდა ფიცის გამტეხის პოზიციასში.

<sup>73</sup> რ. ხარაძე, „დიდი ოჯახის გადმონაშთები სვანეთში, თბილისი, 1939, მითითებული ჯ. მერაბიშვილი, „რუსუდან ხარაძის ღვაწლი ქართული ჩვეულებითი სამართლის შესწავლაში“, მითითებული „ქართული ჩვეულებითი სამართალი“ მ. კეკელიას რედაქტორობით, თბილისი, 1990, გვ. 110.

<sup>74</sup> ეს ინფორმაცია მომაწოდა მედიატორმა ბ-მა ქარამ (ბაჩუკი) ფალიანმა, რომელსაც ვესაუბრე მესტიასში.

მომჩივანს მოპასუხისგან. მახვში იხსენებდა საქმის გარემოებებს, ისევე როგორც ჩვეულებითი სამართლით დადგენილ წესებს და მსგავს შემთხვევებს წარსულიდან, და წარმოთქვამდა თავის დასკვნას. მახვშის შემდეგ წინადადება მიეცემოდა ხნით უფროსს და ასე მორიგეობით თითოეული მორვეი ცალ-ცალკე იტყოდა თავის აზრს. ბოლოს ყველანი ერთ დასკვნამდე მივიდოდნენ. გადაწყვეტილების მიღების ნიშნად ერთ-ერთი მედიატორი აიღებდა პატარა ქვას („ბაჩა ლილჯენი“), ამოთხრიდა მიწას იქვე და შიგ ამ ქვას ჩაფლავდა მსაჯულების თვალწინ. ამ აქტს ორგვარი დანიშნულება ჰქონდა: ერთი, რომ აღნიშნავდა საქმის დასასრულს, და მეორე, რომ გამოტანილი გადაწყვეტილება საიდუმლოდ უნდა შენახულიყო მანამ, სანამ მედიატორები ერთად არ გამოუცხადებდნენ მხარეებს თავიანთ განაჩენს. გამოცხადება კი, საქმის გარემოებების გათვალისწინებით, თვეების ან შეიძლება წლის შემდგომაც მომხდარიყო.<sup>75</sup>

მედიატორების გადაწყვეტილება ძირითადად ეხებოდა კომპენსაციის (სისხლის გადასახადის შემთხვევაში, ე.წ. „წორის“) რაოდენობას.<sup>76</sup> თუმცა კომპენსაციის დადგენის მიღმა მედიაციის პროცესის ძირითადი არსი – მხარეთა შერიგება იდგა. შერიგების რიტუალი, რაც თან სდევდა მედიატორების მიერ მხარეთათვის გადაწყვეტილების გამოცხადებას და შემდგომ აღსრულებას (რაც ქვემოთ არის აღწერილი), სწორედ იმას ცხადყოფს, რომ პროცესის დანიშნულება მხარეთა შორის მტრობის შეწყვეტა და დამნაშავეის მიერ დანაშაულის გამოსყიდვა იყო. რიტუალი განსხვავდებოდა მკვლელობისა და არამკვლელობის საქმეების მიხედვით.

ბესრიონ ნიჟარაძე აღწერს განჩინების შეტყობინების წესს მხარეებისთვის არამკვლელობის საქმეზე: „მედიატორები მიდიან ადგილის ეკლესიის კარზედ და იქილამ ატყობინებენ მომჩივან-მოპასუხეს, რომ ისინი გამოცხადდნენ ერთგულობის ფიცის მისაღებად. ეკლესიის ეზოში გამოსვენებულია ხატი. მსაჯულები დგანან ქუდმოხდილები ეკლესიის გალავანში ხატის წინაშე. იქვე ერთმანეთისგან დაშორებით დგანან მომჩივან-მოპასუხე და თავიანთი ნათესაობის მამრობითი წარმომადგენლები. მომჩივანი და მოპასუხე რიგ-რიგობით იძახიან სიტყვას, რომლის არსი არის მედიატორების დაწყევლა იმ შემთხვევაში, თუ მათ ერთ-ერთი მხარის მიმართ უსამართლო გადაწყვეტილება მიიღეს. ამის შემდგომ გამოდის მახვში და უხვება მხარეებს, რომ მედიატორებმა ისეთი გადაწყვეტილება მიიღეს, „როგორსაც თვითეული ჩვენ მსაჯულთაგანი დასჯერდებოდეს, თუ რომ ჩვენ თქვენს ადგილას ვყოფილიყავით.“ რის შემდგომ დანარჩენი მედიატორები

<sup>75</sup> ბ. ნიჟარაძე, „თავისუფალი სვანი“, თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბილისი, 1962, გვ. 98-99.

<sup>76</sup> ჯ. მერაბიშვილი, „რუსუდან ხარაძის ღვაწლი ართული ჩვეულებითი სამართლის შესწავლაში“, მითითებული „ქართული ჩვეულებითი სამართალი“ მ. კეკელიას რედაქტორობით, თბილისი, 1990, გვ. 110.

ერთხმად წარმოსთქვამენ: „ვფიცავთ, რომ რამდენადაც კი მივხვდით, ჭეშმარიტს სამართალზე ვავიარეთ“. შემდგომ მახვილ ერთგულების ფიცს ადებინებს ორივე მხარეს, მსაჯულები იყოფიან ორად, ნახევარი მიდის მომწივანთან, ნახევარი კი – მოპასუხესთან, განჩინების გამოსაცხადებლად. არც ერთ მხარეს არ ჰქონდა უფლება განჩინების უარყოფისა. განაჩენის აღსრულება არ შედიოდა მსაჯულ-მედიატორების ვალდებულებაში. როგორც წესი, მისჯილს მოპასუხე მოკლე დროში ჩააბარებდა დაზარალებულს მახვილს ან რომელიმე ნათესავის ხელით.<sup>77</sup>

რუსუდან ხარაძის აღწერით, შერიგების პროცესი ერთ-ერთ მკვლევლობის საქმეზე ასე გამოიყურებოდა: დანიშნულ დღეს მკვლელის ოჯახში იმართებოდა დიდი სუფრა, სადაც ესწრებოდა ორივე მხარის მთელი ნათესაობა. სანამ სუფრასთან დასხდებოდნენ, მოკლულის ერთ-ერთი ნათესავი შედის მკვლელის ოჯახში, ხსნის „ნიჭას“, გამოაქვს გარეთ და ცეცხლზე წყალს ასხამს. ეს სიმბოლურად კერიის გაქრობას ნიშნავდა და ამდენად ოჯახის სიმბოლურ განადგურებას გულისხმობდა. შემდგომ დასხდებოდნენ სუფრაზე. სანამ სამი ძირითადი სადღეგრძელო არ დაილეოდა (შერიგების მომხდენი და მომწყობი ოჯახის, მიქელ მთავარანგელოზის და წმინდა გიორგის), მკვლელსა და მისი ახლობლებს არ ქონდათ სუფრაზე შემოსვლის უფლება. მანამდე კი ერთ-ერთი არჩეული მორევი უამბობდა ყველას მომხდარი მკვლელობის და შერიგების პირობების შესახებ და აცნობდა მორუალების მიერ მიღებულ გადაწყვეტილებას. შემდგომ მკვლელი შემოდოდა მუხლის ჩოქვით, მას ნეკი თითები გადაჭდობილი ჰქონდა მორჩილების ნიშნად. შემდეგ ხდებოდა კათხების გაცვლა და სუფრის ბოლოს ყველანი შერიგებულებად ითვლებოდნენ. ხშირად მესისხლენი მოყვრდებოდნენ ან ძმად იფიცებოდნენ. ამდენად, შერიგების პროცესი ნივთიერი ანაზღაურების გარდა დამნაშავისგან პირად დამცრობასაც მოითხოვდა.<sup>78</sup>

მორევის სამართალს ექვემდებარებოდა როგორც სამოქალაქო, ისე სისხლის სამართლის საქმეები.

სვანურმა წეს-წყობილებამ, გარდა მორევით მორიგებისა, იცოდა მორიგების სხვა ფორმებიც, მაგალითად, სახლში შეძლოდა „ლუფხულებით“, „ლუფხულოდ“ სახლში შეძლოდა, ნათესავებით და ტოლობისა და თანასწორობის ფიციით მორიგება, ა.შ.. უკანასკნელი სამი ფორმა შედარებით მარტივი დანაშაულის დროს იხმარებოდა. მათი დეტალური განხილვა სცილდება წინამდებარე კვლევის მიზნებს.

**სვანური „ლუფხვილ“ ნიშნავს თითით (ფხულე) ამორჩეულ მოფიცარს, რომლის**

<sup>77</sup> ბ. ნიჟარაძე, „თავისუფალი სვანი“, თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბილისი, 1962, გვ. 99–101.

<sup>78</sup> რ. ხარაძე, „დიდი ოჯახის გადმონაშთები სვანეთში, თბ. 1939, მითითებული გ. მერაბიშვილი, „რუსუდან ხარაძის დეაწლი ქართული ჩვეულებითი სამართლის შესწავლაში“, მითითებული „ქართული ჩვეულებითი სამართალი“ მ. კეკელიას რედაქტორობით, თბილისი, 1990, გვ. 111–112.

ამორჩევის უფლება ჰქონდა მხოლოდ დაზარალებულ მხარეს. მისი არსი იმაში მდგომარეობდა, რომ დაზარალებული დაასახელებდა ლეფხულებს (1-20-მდე), რომლებიც დამნაშავეს უნდა „ემოვნა“, ე.ი. უზრუნველყო მათი დათანხმება. შემდგომ მოციქულების შუამავლობით წარიმართებოდა „მოლაპარაკება“ ლეფხულებსა და დამნაშავეს შორის, დაზარალებულისთვის მისაცემი კომპენსაციის ოდენობაზე. დამნაშავე და ლეფხულები რომ მორიგდებოდნენ ერთმანეთში, ლეფხულები მომჩივანს იბარებდნენ ეკლესიის კარზე, სადაც მიჰყავდათ აგრეთვე დამნაშავე. რამდენიმე ფიცის ცერემონიის შემდგომ მახვში გამოუცხადებდა მომჩივანს, თუ რამდენი მიესაჯა მას დამნაშავისგან. დამნაშავე მისჯილს ან მაშინვე ჩააბარებდა ლეფხულების მეშვეობით დაზარალებულს, ან მოკლე ხანში გადასცემდა მას მახვშის ხელით. დამნაშავე მაშინ იყენებდა ლეფხულებით მორიგებას, როდესაც სრულიად უმიზეზოდ მიაყენა დაზარალებულს მძიმე შეურაცხყოფა, ვნება და დანაშაულის გასამართლებელი საბუთი არ ჰქონდა. როდესაც დამნაშაველი შეუთვლიდა დაზარალებულს ლეფხულებით შემირიგდიო, ამ უკანასკნელს უარი არ ეთქმოდა თუ მაინცა და მაინც სამაგიეროს გადახდა არ ედო გულში.<sup>79</sup>

## ხევისპრემიო

ხევსურეთში მედიატორ-მოსამართლის აღმნიშვნელი ყველაზე გავრცელებული ტერმინი არის „რჯულის კაცი“.<sup>80</sup> თუმცა დასტურდება ამ მიზნით ტერმინ „ბჭის“ გამოყენებაც.<sup>81</sup>

ხევსურეთში ჩამოყალიბდა პირთა გარკვეული წრე, რომლებიც გამოირჩეოდნენ პატიოსნებით, ავტორიტეტით, გონიერებით, და ერკვეოდნენ ხევსურულ „რჯულში“. მათ ხშირად უხდებოდათ „რჯულში“ მონაწილეობის მიღება. შესაძლოა „რჯულის კაცები“<sup>82</sup> სხვა თემებიდანაც მოეხმოთ. რთულ საქმეზე შეიძლება ქისტებიც კი მოეწვიათ.<sup>83</sup>

„რჯულის კაცების“ რაოდენობა საქმის სიმძიმეზე იყო დამოკიდებული. მსუბუქ საქმეზე (ვალის გადახდა, მცირედი ქურდობა) საკმარისი იყო 3-6 რჯულის კაცი. რთულ საქმეებზე 12-მდე რჯულის კაცი იკრიბებოდა.<sup>84</sup> რჯულის კაცებს მხარეები

79 ბ. ნიუარაძე, „თავისუფალი სვანი“, თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბილისი, 1962, გვ. 101-103.

80 გ. დავითაშვილი, „სამედიატრო სასამართლო ანუ „რჯული“ ხევსურეთში“, თბილისი, 2001, გვ. 16.

81 იქვე, გვ. 15.

82 „რჯულის კაცად“ ქალის არჩევა არ შეიძლებოდა. იქვე, გვ. 40.

83 იქვე, გვ. 38-39.

84 იქვე, გვ. 44.

ან შუაკაცები ირჩევდნენ. მხარეებს შეეძლოთ თავად შუაკაცებისთვის ეთხოვათ შეესრულებინათ „რჯულის კაცის“ ფუნქციები, რა დროსაც შეიძლება მომხდარიყო შუაკაცის ტრანსფორმირება „რჯულის კაცად“.<sup>85</sup>

რჯულის პროცესი ასე გამოიყურებოდა: რჯულის კაცები სწავლობდნენ საქმეს. ამ მიზნით მათ შეიძლება შუაკაცებისთვისაც კი გამოეკითხათ საქმის არსი, რადგან ისინი კარგად იყვნენ ყველაფერში გათვითცნობიერებულნი. „რჯულის კაცები“ მიდიოდნენ ჯერ ერთ მხარესთან და დაწვრილებით გამოჰკითხავდნენ საქმის ვითარებას, შემდეგ მეორე მხარესთან მიდიოდნენ და სიტყვასიტყვით გადასცემდნენ პირველი მხარის ჩვენებას. მეორე მხარეს შეეძლო მოწინააღმდეგის მტკიცების უარყოფა. „რჯულის კაცები“ შეიძლება რამდენჯერმე მისულიყვნენ თითოეულ მხარესთან, რომ ერთმანეთის ნალაპარაკევი გადაეცათ. თუ რომელიმე მხარე მუქარის ან შეურაცხყოფელი სიტყვებით მოიხსენიებდა მოწინააღმდეგეს, ცხადია, „რჯულის კაცები“ ამას უმაღავდნენ მეორე მხარეს. ისინი შეძლებისდაგვარად არბილებდნენ მკვეთრ გამონათქვამებს, რადგან ცდილობდნენ ერთმანეთის მთხოვნელად და პატივისმცემლებად წარმოეჩინათ მხარეები, რომ მათში შერიგების განწყობა დაემკვიდრებინათ.<sup>86</sup> პროცესზე შესაძლოა მოწმეებიც დაეკითხათ. თუკი ეჭვმიტანილი უარყოფდა დანაშაულს ან თუ მოწმე გადამწყვეტ ჩვენებას იძლეოდა, შეიძლება მომხდარიყო მათი დაფიცებაც ჯვარში.<sup>87</sup>

სოფლებში იყო სპეციალური მოხერხებული ადგილები, ძირითადად ბუნებაში, სადაც რჯული იმართებოდა. მოდავეები ისეთ ადგილს ირჩევდნენ, რომ ერთმანეთის არც დანახვა და არც გავონება არ შეძლებოდათ. როდესაც „ჯვარში“ ტარდებოდა რჯული, შესაძლოა მედიატორებს ერთი მხარე თავისთან დაებარებინათ, მეორესთან კი ოჯახში მისულიყვნენ. მთავარია, მხარეები ერთმანეთს არ შეხვედროდნენ და ერთმანეთის საუბარი არ მოესმინათ.<sup>88</sup>

ამის შემდგომ იწყებოდა მეორე სტადია – განაჩენის გამოტანა. განაჩენის გამოტანისას გადამწყვეტი მნიშვნელობა ჰქონდა პრეცედენტს მოცემულ საქმეზე, ანუ „ანდრეზს“.<sup>89</sup> „რჯულის კაცები“ გაიხსენებდნენ, თუ როგორ გადაწყდა ანალოგიური საქმე ძველად. ისინი, უპირველეს ყოვლისა, ერთმანეთს მიმართავდნენ, თუ რა „ანდრეზი“ გაუკვიათ მსგავს საქმესთან დაკავშირებით. „ანდრეზებს“ არსებითი მნიშვნელობა ჰქონდა საქმის გადამწყვეტის შედეგის მხრივ. ამიტომ, ხანში შესული და „რჯულის კაცად“ ხშირად ნამყოფი ადამიანები „რჯულში“ ისწრებდნენ ნიჭიერ,

<sup>85</sup> იქვე, გვ. 40–41.

<sup>86</sup> იქვე, გვ. 52.

<sup>87</sup> არაძირითად მოწმეს, რომელიც არაარსებით ჩვენებას იძლეოდა, არ დააფიცებდნენ.

<sup>88</sup> იქვე, გვ. 48.

<sup>89</sup> იქვე, გვ. 57.

გონიერ ახალგაზრდებს, რომ მათ დაემასხოვრებინათ „რჯულის“ ჩატარების წესები და „ანდრეზები“, რათა შემდგომ „რჯულის კაცთა“ საქმე გაეგრძელებინათ.<sup>90</sup>

გადაწყვეტილება ერთსულოვნებით მიიღებოდა. თუ „რჯულის კაცები“ ვერ ახერხებდნენ ყველასათვის მისაღები განაჩენის გამოტანას, მაშინ „რჯული“ იშლებოდა და მხარეებს ურჩევდნენ ახალი „რჯულის კაცები“ აერჩიათ. თუმცა ეს იშვიათობა იყო. „რჯულის კაცებს“ კარგად ესმოდათ, თუ ისინი საერთო გადაწყვეტილებამდე ვერ მივიდოდნენ, მხარეები მტრებად დარჩებოდნენ და შერიგების შანსი, რომელიც მათ ხელთ იყო და რომლის ბედიც მხარეებმა მათ ანდეს, შესაძლოა, დაკარგულიყო.<sup>91</sup>

გამოტანილ გადაწყვეტილებას ვერ იმ მხარეს გამოუცხადებდნენ, რომელსაც „დრამის“ გადახდა ევალებოდა. მისი თანხმობის შემდეგ კი მეორე მხარეს უცხადებდნენ იგივეს. „რჯულის კაცები“ დეტალურად განუმარტავდნენ მხარეებს, თუ რა განაჩენი გამოიტანეს და რატომ. მათ შეიძლება დასჭირვებოდათ მხარეთა დარწმუნებაც, რომ მათი განაჩენი სამართლიანია და, რომ მაგალითად, „დრამის“ შემცირება აუცილებლობით იყო ნაკარნახევი.<sup>92</sup> ზოგ შემთხვევაში „რჯულის კაცები“ ხვეწნითაც კი იყოლებდნენ მხარეს, მიეღო „ნარჯულავი“: „რჯულის კაცები ქუდებს იხდიან, მუხლებზე დგებიან, დაზარალებულს შარვალზე ეკიდებიან, სათანადო სიტყვებით ცდილობენ მის დაყოლიებას, რომ მან მიიღოს მათი „ნარჯულავი“.<sup>93</sup>

თუ რომელიმე მხარე უსამართლოდ ჩათვლიდა გადაწყვეტილებას, შეეძლო ახალი „რჯული“ მოეთხოვა და არ იყო გამორიცხული „რჯულის“ მეორედ, მესამედ, მეოთხედ და ა.შ. ჩატარება.<sup>94</sup> ხევსურეთში, თუ ვინმე მედიატორთა გადაწყვეტილებას არ დათანხმდებოდა და ხელისუფლებასთან გაემგზავრებოდა საჩივრულად, მთელი სოფელი და თემი დაუხვდებოდა და უკან დააბრუნებდა: „სირცხვილ არა იც, რად გვყრი სხვის ხელადაო?“<sup>95</sup>

გადაწყვეტილების გამოცხადებიდან მოკლე ვადაში ხდებოდა მისი აღსრულებაც. ამ პროცესში „რჯულის კაცები“ უშუალოდ მონაწილეობდნენ. ისინი მიდიოდნენ დამნაშავესთან დრამის მისაღებად. დაზარალებულთან დრამის მისატანად მათ თან

<sup>90</sup> იქვე, გვ. 39–40.

<sup>91</sup> იქვე, გვ. 60.

<sup>92</sup> იქვე, გვ. 62–63.

<sup>93</sup> იქვე, გვ. 71.

<sup>94</sup> ზოგი ინფორმატორი ამბობს, რომ რჯული ერთსა და იმავე საქმეზე შეიძლება მაქსიმუმ ცხრაჯერ ჩატარებულიყო. იქვე, გვ. 64.

<sup>95</sup> გ. დავითაშვილი, „გუჯა-ფშაველა და ქართული ჩვეულებითი სამართალი“, მითითებული „ქართული ჩვეულებითი სამართალი“ მ. კეკელიას რედაქტორობით, თბილისი, 1990, გვ. 38.

მიჰყავდათ დამნაშავე, რომელსაც მიჰქონდა ერთი ტიკი არაყი შერიგების ნიშნად. დამნაშავე ბოდიშს მოუხდიდა დაზარალებულს, გაიშლებოდა სუფრა და მხარეები საბოლოოდ რიგდებოდნენ.<sup>96</sup>

„რჯული“ (სამედიატორო პროცესი) ყველაზე ხშირად იმართებოდა „ჭრა-ჭრილობის“ (დაჭრის), ქურდობის საქმეებზე, განქორწინებისას, ქონების კუთვნილებაზე დავებისას და სხვ.<sup>97</sup> ზემოთხსენებული პროცესი სწორედ ამ ტიპის დავებზე ვრცელდებოდა. მკვლელობაზე რჯული იმართებოდა იმ შემთხვევაში, თუ დასადგენი იყო, ვინ იყო მკვლელი, ან თუკი გართულებული მკვლელობის შემთხვევაში მხარეთა შორის იყო უთანხმოება გადასახდელი „დრამის“ ოდენობასთან დაკავშირებით.<sup>98</sup> თუ პირს მკვლელობა დაუმტკიცებოდა (ან იგი აღიარებდა ბრალს), მაშინ შერიგების მიზნით, შუაგაცემის მეშვეობით, იწყებოდა სხვა გრძელვადიანი პროცესი, რასაც „რიგის ყენება“ ჰქვია.<sup>99</sup>

მართალია, რიგის ყენება „გარჯულისგან“ განცალკევებული პროცესია, ვინაიდან ეს არის მესამე მხარეების (შუაგაცემის) მიერ მართული პროცესი, რომელიც ემსახურება მოდავე მხარეების შერიგებას, მიზანშეწონილია მისი მოკლე აღწერა.

რიგის ყენება რამდენიმე ეტაპისგან შედგებოდა. მაგრამ მანამდე ჯერ შუაგაცემს ჭირისუფლები უნდა დაეთანხმებინათ რიგის მიღებაზე. საამისოდ მკვლელის ხარჯზე იკვლებოდა *ასამტეხლო* საკლავი, რომელიც შუაგაცემს მიჰყავდათ დაზარალებულთან ყოველი მოლაპარაკების წინ. აგრეთვე იკვლებოდა *მიწადში* საკლავი – ეს მიცვალებულის სულის მოსახსენებელი საკლავია, რომელსაც მკვლელის ოჯახი უგზავნის დაზარალებულ მხარეს მოკლულის დაკრძალვამდე შუაგაცემის მეშვეობით. შემდეგ იწყებოდა შერიგების რთული პროცესი: ჯერ გვარი ურიგდებოდა გვარს (საგვარო რიგის დაყენება), მეორე ეტაპზე ხდებოდა მესამე მხარეთა შემორიგება – სამო რიგი, ასევე ხდებოდა დედის ნათესაობის შემორიგება – სადედაო რიგი. შემდეგი ეტაპები იყო სახლის რიგი, საქალო რიგი, რომელიც აერთიანებდა სადოს (დის შემოსარიგებელი) სადედითშინოს და სამამიდოს, და ბოლოს სამახნაო რიგი, რომელიც საუკუნეების მანძილზე გრძელდებოდა, და მას იხდიდა დამნაშავის შთამომავლობა წელიწადში ერთი ცხვრის სახით. ამ ძირითად გადასახადებს „თავსისხლი“ ეწოდებოდა, რომლის გარდა იყო კიდევ მთელი რიგი აკრძალვებისა, რაც დაუსრულებელ ვალდებულებებს წარმოადგენდა მესისხლეთა შორის და თაობიდან თაობას გადაეცემოდა. XIX საუკუნის ბოლოს შემოულიათ ხევსურეთში ე.წ. „თავის გათავება“, რომელიც გულისხმობს მესისხლეთა საბოლოო შერიგებას,

<sup>96</sup> გ. დავითაშვილი, „სამედიატორო სასამართლო ანუ „რჯული“ ხევსურეთში“, თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბილისი, 2001, გვ. 73.

<sup>97</sup> იქვე, გვ. 20.

<sup>98</sup> იქვე, გვ. 29.

<sup>99</sup> იქვე, გვ. 56.



რაც ფორმდებოდა ნამკისაგან გაკეთებულ ნასკვზე ფეხის დადებით.<sup>100</sup> „თავის გათავების“ ცერემონია შემდეგნაირად გამოიყურებოდა: ბალახის ღეროს, ჩალას სამჯერ გავანძავდნენ, მრგვალ ფორმას მისცემდნენ, დებდნენ მიწაზე და შუაკაცი და მხარეები ადგამდნენ ფეხს. სრულდებოდა გარკვეული ლოცვის რიტუალი.<sup>101</sup>

გარდა სისხლის საფასურის გადახდისა, მნიშვნელოვან ვალდებულებას წარმოადგენდა ხევსურეთში ე.წ. პატივის გადახდა, რომელიც დამნაშავე მხარის მუდმივი მორჩილებისა და მორიდების გამომხატველია და უმთავრესად მოკლულის ნათესავების მორალურ დაკმაყოფილებაში მდგომარეობს.<sup>102</sup> ეს ელემენტი კვლავ მიუთითებს მედიაციის პროცესისა და თავად კომპონიციის დაკისრების მთავარ მიზანზე, რაც გულისხმობდა შუღლის მოსპობას და დამნაშავესა და დაზარალებულს შორის ურთიერთობის აღდგენას.

## ფშსპი

„სამართალსა იქმინაო, ისევ ძმები იყვინაო.“<sup>103</sup> ფშავლების შეხედულება სამართალზე იყო ის, რომ სამართალი კი არ აცილებს ხალხს ერთმანეთს (მოდავეებს), არამედ გულშეჯერებას უწყობს ხელს.

მოდვე მხარეების შერიგება შუაკაცების მეშვეობით ხდებოდა, მათ ბჭეს ან მედიატორს ეძახდნენ.<sup>104</sup> ისევე როგორც სხვაგან, მედიატორის არჩევამდე ჯერ უნდა მომხდარიყო მხარეთა დაცოლიება შერიგების პროცესზე. იმ კაცს, რომელიც სადავოს მოგვარების მიზნით იკისრებდა შერიგებისათვის მისვლა-მოსვლას (ფშაურად „ხიდედო-ოდედო“), შუამავალ კაცს ეძახდნენ.<sup>105</sup> შუაკაცებად ირჩევდნენ ავტორიტეტის მქონე პირებს, რომლებიც დაზარალებულისთვის მისაღები უნდა ყოფილიყვნენ. შუაკაცობა ძირითადად სერიოზულ საქმეებზე იყო მიღებული.

<sup>100</sup> რ. ხარაძე, „ხევსურული რჯული“, ანალები, ტ. 1, თბ. 1947, მითითებული გ. მერაბიშვილი, „რუსუდან ხარაძის ღვაწლი ქართული ჩვეულებითი სამართლის შესწავლაში“, მითითებული: „ქართული ჩვეულებითი სამართალი“ მ. კეკელიას რედაქტორობით, თბილისი, 1990, გვ. 107-108.

<sup>101</sup> შერიგების ეს პროცესი ჩანს დოკუმენტურ ფილმში „ხევსურები“, იწყება 49-ე წუთიდან, იხ. <https://www.youtube.com/watch?v=Qd5PWPK32c> ნანახია: 10.11.2016 წ.

<sup>102</sup> რ. ხარაძე, „ხევსურული რჯული“, ანალები, ტ. 1, თბ., 1947, ციტირებული: გ. მერაბიშვილი, „რუსუდან ხარაძის ღვაწლი ქართული ჩვეულებითი სამართლის შესწავლაში“, მითითებული: „ქართული ჩვეულებითი სამართალი“ მ. კეკელიას რედაქტორობით, თბილისი, 1990, გვ. 109.

<sup>103</sup> გ. ჭოლიკაშვილი, სოფ საკობიანო, ანდაზა, მითითებული ანგარიშში „მასალები ქართულ ჩვეულებით სამართალზე“, მითითებული: „ქართული ჩვეულებითი სამართალი“ მ. კეკელიას რედაქტორობით, თბილისი, 1990, გვ. 147.

<sup>104</sup> ანგარიში საველე ეთნოგრაფიულ სამუშაოებზე, მითითებული „ქართული ჩვეულებითი სამართალი“ მ. კეკელიას რედაქტორობით, თბილისი, 1990, გვ. 149.

<sup>105</sup> მ. კეკელია, „ქართული ჩვეულებითი სამართალი“, თბილისი, 1993, გვ. 191.

ხშირად შერიგების დროს დაზარალებულის ოჯახში მიგზავნიდნენ ისეთ შუაკაცებს, რომლებმაც ადრე თავიანთ მხრივ სხვებს აპატიეს იგივე დანაშაული. „კიდევ უფრო საპატიოა მკვლელის ოჯახის მიერ მოკლულის ოჯახში პატიების სათხოვნად ისეთი ხალხის მიგზავნა, რომლებმაც ადრე თვითონ აპატიეს მკვლელობა ამჟამად მოკლულის მხარეს. ეს ისეთი შემთხვევაა, რასაც მოკლული მხარე იშვიათად გადაუჭა.“<sup>106</sup>

ზოგჯერ ისეც ხდებოდა, რომ სადავო საკითხი მხოლოდ შუამავლის მიერ გადაწყდებოდა. თუკი შუაკაცების მისვლა-მოსვლით ვერ მორჩებოდა საქმე, მაშინ შერიგებაზე დათანხმების შემდგომ მხარეები დაასახელებდნენ თავთავიანთ მედიატორებს. მათი რაოდენობა იმაზე იყო დამოკიდებული, თუ როგორი ხასიათის დანაშაული იყო ჩადენილი, რა ვითარებაში და როგორ იყვნენ შერიგებისადმი განწყობილი მხარეები.<sup>107</sup> მ. კეკელიას მოჰყავს შუაფხოელი ხევისბერის, ნიკოლოზ თვარელიშვილის (უგემურას), ცნობა, რომლის თანახმად, მკვლელობის საქმე „ხატში ირჩეოდა 7 კაცის მიერ, რომელთაგან სამ-სამ კაცს მხარეები ირჩევდნენ და ერთიც ხევისბერი იქნებოდა.“<sup>108</sup> ხატის გარდა საქმის განხილვა შესაძლოა სოფელში საამისოდ სპეციალურად ამორჩეულ მოედანზე მომხდარიყო. მ. კეკელიას მოჰყავს ერთი თიანეთელი ფშავლის ცნობა, რომლის მიხედვით „არტენში ხევზე არის ერთი ადგილი, სადაც დგას ქვის სკამები, წინ დასადგომი ფილაა, ამბობენ აქ იკრიბებოდნენ კაცთ საკითხი კაცები და არჩევდნენ საქმეებსო“.<sup>109</sup> საქმის გარჩევა შესაძლოა სოფლის განაპირა ადგილას (მინდორზე, ფერდობზე, უკაცრიელ შარაგზაზე) მომხდარიყო.<sup>110</sup>

მედიატორებს შეიძლება დამნაშავესა და დაზარალებულთან მისვლა-მოსვლით გაერკვიათ ვარემოებები; შეიძლება მათთვის ღია ცის ქვეშ მოესმინათ. ფიცს მხარეებს, ისევე როგორც მოწმეებს, ხატში ჩამოართმევდნენ. თუ სოფელში ირჩეოდა საქმე, მაშინ ქალეებიც ესწრებოდნენ, ხოლო თუ ხატში – იქ მათი დაწრება გამორიცხული იყო.<sup>111</sup>

მხრეებისთვის გადაწყვეტილების გამოცხადება და მათი შერიგება სხვადასხვაგვარად

<sup>106</sup> მ. კეკელია, „მასალები ფშავის ჩვეულებითი სამართალზე“ (პანკისის ხეობა), რე. გვ. 42. მითითებული: მ. კეკელია, „ქართული ჩვეულებითი სამართალი“, თბილისი, 1993, ვ. 191.

<sup>107</sup> მ. კეკელია, „ქართული ჩვეულებითი სამართალი“, თბილისი, 1993, გვ. 192.

<sup>108</sup> დ. ვალაბაძე, „მასალები ფშავის ჩვეულებითი სამართალზე“, 1986, რე. გვ. 1, მითითებული „ქართული ჩვეულებითი სამართალი“ მ. კეკელიას რედაქტორობით, თბილისი, 1993, გვ. 192.

<sup>109</sup> ჯ. მერაბიშვილი, „მასალები ფშაურ და ქისტურ ჩვეულებითი სამართალზე“, 1987, რე. გვ. 97, მითითებული „ქართული ჩვეულებითი სამართალი“ მ. კეკელიას რედაქტორობით, თბილისი, 1993 წ. გვ. 193.

<sup>110</sup> მ. კეკელია, „ქართული ჩვეულებითი სამართალი“, თბილისი, 1993 წ. გვ. 194.

<sup>111</sup> იქვე, გვ. 194.

ხდებოდა. შესაძლოა მედიატორები ორად გაყოფილიყვნენ, დაბარალეხულის მიერ ამორჩეულები დაბარალეხულის ოჯახში მიდიოდნენ გადაწყვეტილების გამოსაცხადებლად, ხოლო დამნაშავეების მიერ არჩეულნი – დამნაშავესთან.

ზოგჯერ ისეც ხდებოდა, რომ საქმის გარჩევის მსვლელობაში მოდავე მხარეები არც ერთხელ არ ხვდებოდნენ ერთმანეთს. ასეთი რამ რთული საქმეების განხილვისას ხდებოდა.<sup>112</sup> მხოლოდ გარკვეული დროის გასვლის შემდგომ ხდებოდა ხოლმე, რომ ორი მხარე პირისპირ (ხატში ან მის გარეთ) შეხვდებოდა ერთმანეთს და შერიგდებოდა. მხარეთა მორიგების სიმტკიცის ნიშნად ხევისბერი ხატში სამანს (გრძელ ქვას) ჩასვამდა, საკლავს დაკლავდა და მოდავე-მოპასუხეს დალოცავდა.<sup>113</sup> შეხვედრის ცერემონიალს ყოველთვის პურ-მარილი მოჰყვებოდა.<sup>114</sup>

მიხაკო კეკელიას მოჰყავს ერთი მედიატორის ნაამბობი შერიგების გამოცხადებასა და აღსრულებაზე: მკვლელობის საქმეზე მედიატორად ორ-ორი კაცი ამოურჩევიათ მხარეებს. მედიატორები წავიდნენ თავ-თავიანთ ამომრჩევლებთან და გამოუცხადეს მათ განაჩენი. მედიატორების გადაწყვეტილებით დამნაშავეს მოკლულის ოჯახისთვის გარკვეული საფასური უნდა გადაეხადა პირუტყვისა და ფულის სახით. დათქმულ დღეს შუადღის დროს მკვლელის მამა თავისი მედიატორებით, ორი ვაჟით, ბიძაშვილებით და უახლოესებით მივიდა დაბარალეხულის ოჯახში და სახლის წინ ეზოში გაჩერდა. მისვლისთანავე თავისი მედიატორების თანხლებით სახლიდან გამოვიდა მოკლულის მამა თავისიანებით, მათ შორის მოკლულის ორი ვაჟი, ბიძაშვილები – როგორც ქალები ისე კაცები, მოვიდნენ და რაიმეს თქმის გარეშე ჩამოგვართვეს ხელი ყველას სათითაოდ. ტირილით ერთმანეთს გადაეხვიენ მოკლულის და მკვლელის მამები. შეგვიპატიჟეს სახლში. ერთ ოთახში ხანდაზმულები დავსხედით, მეორეში – ახალგაზრდები, ორივე ოთახში თამადები ოჯახის უფროსმა აირჩია... როგორც მოკლულის, ისე მკვლელის მამებმა ერთიმეორეს მიმართეს სადღეგრძელოებით. პირველად მკვლელის მამამ თქვა სათხოვარი სიტყვა, რაშიც დიდად ნანობდა მომხდარ ფაქტს. საპასუხო სიტყვა თქვა მოკლულის მამამაც. შემდეგ შეისვა ორივე ოჯახის მშვიდობის სადღეგრძელო. მკვლელი და მოკლულის სადღეგრძელოები გამოყოფით არ ითქვა იმიტომ, რომ მოვერიდეთ ზედმეტად ნერვების აშლას. იქვე სუფრასთან წამოდგა მოკლულის მამა და მედიატორების მიერ დავალეხული ფულადი თანხა გადასცა მედიატორს, რომელმაც, თავის მხრივ, ფული მოკლულის მამას გადასცა. პურის ჭამის დროს მედიატორებმა ერთმანეთი გადავაკონინეთ მოკლულის და მკვლელის ძმებს, ბიძაშვილებს და მოგვარეებს. მოხდა მკვლელის მხარის ბიძაშვილებსა და მოკლულის ბიძაშვილებს შორის „ფიც-ვერცხლით“ ძმად შეფიცვა. ორივე შეფიცულმა მხარემ

<sup>112</sup> იქვე, გვ. 194.

<sup>113</sup> ს. მაკალათია, „ფშავი“, გამომცემლობა „ნაკადული“, თბილისი, 1985, გვ. 78.

<sup>114</sup> მ. კეკელია, „ქართული ჩვეულებითი სამართალი“, თბილისი, 1993, გვ. 196.

ერთმანეთს სასმელიან ჭიქაში ჩაუთალა ვერცხლი და ერთმანეთს სახალხოდ შეჭფიცეს ასეთი სიტყვებით: „შენი დედა ჩემი დედა, შენი მამა ჩემი მამა, შენი და ჩემი და, შენი ცოლი ჩემი რძალი. ამიერიდან ურთიერთ შორის უღალატონი ვიყოთ“ და დალიეს. წესის მიხედვით, დათრობა არ შეიძლებოდა და ამიტომ ხალხმა თავი შეიკავა. შერიგების პურმარილი მომზადდა დაზარალებულის ოჯახში, სადაც დამნაშავემ მიიყვანა საკლავი. პურმარილი დაზარალებულის ოჯახში მისულმა მკვლელის ახლობლებმა იკისრეს.<sup>115</sup>

## აფხაზეთი

სამედიატორო სასამართლომ აფხაზეთა ჩვეულებით სამართალში დამკვიდრება XVIII საუკუნეში დაიწყო, როდესაც შურისძიების ინსტიტუტის მძიმე შედეგებით შეწუხებულმა საზოგადოებამ მას მხარეთა მორიგების ქმედითი ინსტიტუტი – სამედიატორო სასამართლო დაუპირისპირა. აღსანიშნავია, რომ სამედიატორო სასამართლო მხოლოდ სისხლ-მესისხლეობის<sup>116</sup> საკითხებს აგვარებდა. სამოქალაქო დავის, საჩივრების, საკუთრების ფორმათა და მსუბუქი დანაშაულობების საკითხები სახალხო ყრილობის, „უხუცესთა საბჭოს“ განსახილველი იყო.<sup>117</sup>

ისევე როგორც საქართველოს სხვა კუთხეებში, აფხაზეთშიც პირველი ნაბიჯი მხარეთა მორიგებისკენ იყო მათი დაყოლიება დავის მშვიდობიან მორიგებაზე. ეს ხშირად რთულდებოდა დაზარალებულის შურისძიების წყურვილის გამო. ამ დროს სოფლის გამორჩეული პიროვნებები ყველანაირად ცდილობდნენ, რომ ფრთხილად, მაგრამ მაინც დაეთანხმებინათ იგი სამედიატორო პროცესზე.<sup>118</sup>

როგორც ჩანს, აფხაზეთში „სისხლი სისხლის წილ, კბილი კბილის წილ“ ჩვეულება მყარად იყო გამჯდარი მოსახლეობაში და განსაკუთრებით ადრეულ ეტაპზე აბრკოლებდა მედიაციამე თანხმობას. როდესაც ასე ხდებოდა და შურისძიებელი გაჯიუტდებოდა შერიგების პროცესზე, მკვლელს შურისძიება მხოლოდ „ახნადარას“ საშუალებით შეეძლო აეცილებინა. ცნობილია, რომ ახლო ნათესავებს შორის და გვარის შიგნით სისხლის აღება დაუშვებელი იყო. თუ ასე ხდებოდა მკვლელს საზოგადოებიდან მოკვეთით სჯიდნენ. „ახნადარა“, სისხლ-მესისხლეობის შეწყვეტის მიზანი, ხელოვნური დანათესავების წესს წარმოადგენდა. როდესაც მესისხლე მხარეთა შერიგება უშედეგოდ მთავრდებოდა, მკვლელს, ტრადიციული სტუმარმასპინძლობით გულგამაგრებულს, შეეძლო დაზარალებულის ოჯახში

<sup>115</sup> იქვე, გვ. 196–197.

<sup>116</sup> ძირითადად ჭრილობის მიყენების, გაუპატიურების, მკვლელობის და სხვა ისეთი საქმეები, რასაც სისხლისღვრა უნდა მოჰყოლოდა.

<sup>117</sup> ს. ბახია–ოქრუაშვილი, „აფხაზეთა ჩვეულებითი სამართალი“, თბილისი, 2014, გვ. 121.

<sup>118</sup> იქვე, გვ. 131.

მოულოდნელად შეჭრა და მოკლულის დედის, დის ან ცოლის ძუძუმე კბილის ძალდატანებით დადგმა. ასევე მკვლელის დედას, დას ან ცოლს, მოკლულის ოჯახში მისვლა და პირველივე ბავშვის მკერდზე მიკვრა, ან მისთვის ძუძუს პირში ჩადება. ამ გზით მტრებს შორის ნათესაური კავშირი მყარდებოდა და სისხლის აღების ტარდიციული წესი ძალას კარგავდა. ასეთი ხელოვნური დანათესავების დროს ორივე მხარეს გარკვეული უფლება-მოვალეობანი ეკისრებოდა.<sup>119</sup> ახნადარას კიდევ ერთი ნაირსახეობა იყო „შვილად აყვანის“ ჩვეულებით სარგებლობა. ამ წესით, მკვლეელი ნათესავების დახმარებით, მოკლულის სახლში შეიპარებოდა, აკვანში მწლიარე ან სხვა მცირეწლოვან ბავშვს გაიტაცებდა და აღსაზრდელად საკუთარ სახლში მიიყვანდა. მკვლელის ოჯახი მოტაცებულ ვაჟს საკადრისად აღზრდიდა. 17 წლის რომ გახდებოდა, იგი მამამძუძეს<sup>120</sup> ძვირფასი საჩუქრებით დატვირთული მშობლებისათვის უნდა დაებრუნებინა. ამგვარი ხელოვნური დანათესავებით ჩერდებოდა შურისძიების წესი.<sup>121</sup>

მედიაციამ დათანხმების შემდგომ, მხარეები ირჩევდნენ მსაჯულ-მედიატორებს. მათი რიცხვი მოლაპარაკების საკითხი იყო. ზოგიერთი წყაროს თანახმად,<sup>122</sup> მედიატორების რიცხვი სოციალურ საფეხურსა და საქმის მნიშვნელობაზე იყო დამოკიდებული. ყველა შემთხვევაში, ეს რიცხვი არ უნდა ყოფილიყო 5-ზე ნაკლები, 12-ს არ უნდა ასცილებოდა და აუცილებლად კენტი უნდა ყოფილიყო. დაბარალეულს საშუალება ეძლეოდა ერთით მეტი მედიატორი აერჩია. თუ რომელიმე მედიატორი ერთ-ერთ მხარეს ეჭვს უჩენდა, იგი უნდა შეეცვალათ.<sup>123</sup>

მედიატორად სულ მცირე ხუთი კაცის არჩევის აუცილებლობა გამომდინარეობდა იქიდან, რომ თითოეულს განსაზღვრული საქმე ეკისრებოდა და შესაბამისად, სპეციალური სახელწოდებით მოიხსენიებოდა:<sup>124</sup>

- აფხიაგლავ – წინამძღოლი, თავში მდგომი
- ავაგლავ – თანამომიარე, გვერდში მდგომი
- ბჭე – მსაჯული
- ალაფყიარა – ჯოხის მქნეველი, ე.ი. მხარეებს შორის სიტყვის მიმტანი, შემტყობინებელი

<sup>119</sup> იქვე, გვ. 133.

<sup>120</sup> ავტორის ვარაუდით ეს მამობილი, აღმზრდელი კაცი იყო.

<sup>121</sup> ს. ბახია-ოქრუაშვილი, „აფხაზთა ჩვეულებითი სამართალი“, თბილისი, 2014, გვ. 128-129.

<sup>122</sup> სალომე ბახია-ოქრუაშვილი მიუთითებს შ. ინალ-იფას მასალებზე, იქვე, გვ. 131.

<sup>123</sup> იქვე, გვ. 131.

<sup>124</sup> ამ სახელწოდებათა უმეტესობა უხუცესთა საბჭოში შემავალ წევრთა სახელწოდებებს ემთხვეოდა, თუმცა, როგორც სალომე ბახია-ოქრუაშვილი აღნიშნავს, მედიაციის ეს ტერმინები თავისი მნიშვნელობით და დანიშნულებით მაინც განსხვავდებოდნენ.

- აუჯავაბა – სიტყვის ოსტატი, საქმის ხმამაღლა გამცნობი. ეს უკანასკნელი კარგი მახსოვრობითა და კარგი ორატორობით გამოირჩეოდა.<sup>125</sup>

ისევე როგორც საქართველოს სხვა მთიან რეგიონებში, მედიატორები მხოლოდ ფიცის რიტუალის შემდეგ იწყებდნენ საქმის შესწავლას. იფიცებდნენ, აგრეთვე, დაპირისპირებული მხარეები, მათ შორის იმაზე, რომ გამოტანილ განაჩენს შეასრულებდნენ და შურისძიებას არ დაუბრუნდებოდნენ. იფიცებდნენ, აგრეთვე, მხარეების მოფიცარები,<sup>126</sup> რომელთა რაოდენობა ზოგჯერ ოცდათორმეტს აღწევდა. დაფიცება არ ხდებოდა ოთხშაბათს და პარასკევს.<sup>127</sup> ფიცის მიცემისთვის აფხაზები ამალღებულ გორაკს, ჭალას, სამჭედლოს და გრდემლოს ან ქრისტიანული ძეგლების ნანგრევებზე აღმოცენებულ წარმართულ წმინდა ადგილებს იყენებდნენ. ოჩამჩირის რაიონის აფხაზებში ფიცის მისაცემად სასწაულმოქმედ ილორის წმ. გიორგის ხატს იყენებდნენ.<sup>128</sup>

რაც შეეხება თვითონ პროცესს, ის სოფლიდან მოშორებით, შედარებით გაშლილ ადგილას, ღია ცის ქვეშ ეწყობოდა. ეთნოგრაფიული მასალებით, სამედიატორო პროცესისთვის ამორჩეულ ადგილს აფხაზურად „აუსჰართა“<sup>129</sup> ეწოდებოდა, რაც სიტყვასიტყვით საქმეზე თხრობის ადგილს ნიშნავს. ორივე მხარე, ერთმანეთის პირისპირ, თუმცა მოშორებით, ჯგუფდებოდა. „სიტყვის ოსტატ“ მსაჯულს ერთი მეორის მიერ გამოთქმული აზრი მათ შორის დაჰქონდა და პასუხს აცვობინებდა. როდესაც მედიატორები ორივე მხარეს მოუსმენდნენ, მოწმეებს დაკითხავდნენ, ბოლოს მორალურ-მატერიალური ზარალის და სისხლის ფასის – „აშაფსა“-ს დადგენას ცდილობდნენ, რისთვისაც ისინი ადათს მიმართავდნენ. ამ დროს ისინი დამნაშავეს და დაზარალებულის სოციალურ, ქონებრივ და სხვაგვარ მდგომა-რეობას ითვალისწინებდნენ.<sup>130</sup>

აფხაზეთში „სისხლის ფასი“ ნათესაობაში ნაწილდებოდა. რაც უფრო ახლო იყო დამნაშავესთან ნათესავი, მით უფრო მეტი გადასახადი ხვდებოდა მას. ამგვარ კომპოზიციურ წესს მედიატორები აკონტროლებდნენ. ისინი ცდილობდნენ, რომ კომპენსაცია დროზე ყოფილიყო გადახდილი, რომ დაზარალებულს შურისძიებაზე აღარ ეფიქრა. დადგენილი საზღაურის გადახდა სავალდებულო იყო. თუ საზღაურის გადახდა ერთ წელს გადასცდებოდა, დარჩენილი ვალი ორმაგდებოდა.

<sup>125</sup> ს. ბახია-ოქრუაშვილი, „აფხაზთა ჩვეულებითი სამართალი“, თბილისი, 2014, გვ. 134

<sup>126</sup> როგორც წესი, მხრეების ახლო ნათესავები მამის მხრიდან. შესაძლოა ერთი-ორი ადამიანი დედისა და ცოლის მხრიდანაც ყოფილიყო.

<sup>127</sup> ს. ბახია-ოქრუაშვილი, „აფხაზთა ჩვეულებითი სამართალი“, თბილისი, 2014, გვ. 136.

<sup>128</sup> იქვე, გვ. 135.

<sup>129</sup> „აუს“=საქმე, აჰარა=თმა, თხრობა, –რ–თა=ადგილის სუფიქსი.

<sup>130</sup> იქვე, გვ. 145.

გადაუხდელობა დამნაშავეის ოჯახს აყრითა და გადასახადებით ემუქრებოდა, რადგან გადაუხდელობას კვლავ შურისძიებამდე მიჰყავდა მოსახლეობა.<sup>131</sup>

აღსანიშნავია, რომ რელიგიურ სხვაობას სისხლ-მესისხლეობაში არავითარი მნიშვნელობა არ ჰქონდა; ქრისტიანული თუ მუსლიმანური რელიგიის მიმდევართ, ორივეს ჩვეულებითი სამართლით ასამართლებდნენ. ეს საკითხი შარიათის წესით არ განიხილებოდა.<sup>132</sup>

---

<sup>131</sup> იქვე, გვ. 153.

<sup>132</sup> იქვე, გვ. 153.

## მედიატორთა მონაწილეობა ოჯახის გაყრახში

ბარში მედიატრობა ძირითადად ოჯახის გაყოფასთან იყო დაკავშირებული. დღემდე შემონახული მრავალი ისტორიული მასალა<sup>133</sup> მეტყველებს იმაზე, რომ საქართველოს ყველა კუთხეში ოჯახური ქონების გაყოფა მედიატორის დახმარებით ფართოდ იყო გავრცელებული. უფრო მეტიც, მედიატორის მონაწილეობა საოჯახო დავებში შემორჩა მე-20 საუკუნეშიც კი. გულნარა ცეცხლაძე მიუთითებს, რომ გურიაში, მე-20 საუკუნეში მედიატორებად ყოფილან ქალები, კატო ასათიანი და ანეტა მგალობლიშვილი (ოზურეთის რაიონი სოფ. ბახვი).<sup>134</sup>

მედიატორების მოვალეობას შეადგენდა, აღეწერათ ოჯახის მთელი ქონება (მოძრავი და უძრავი) და შეედგინათ ოჯახის გაყრისა და საოჯახო ქონების განაწილების საბუთი („გაყოფის ფუცელი“, „ფარდის ფურცელი“, „განჩინება ქონების გაყოფის შესახებ“, და სხვ.). ეს საბუთი იმდენ ცალად იწერებოდა, რამდენი მონაწილეც იყო. ერთი პირი მედიატორსაც უნდა დარჩენოდა.<sup>135</sup> ყველა შემთხვევაში, მედიატორი ოჯახის თითოეული წევრის ინტერესებს ითვალისწინებდა და ჩვეულებითი სამართლით დამკვიდრებული წესების მიხედვით მოქმედებდა.<sup>136</sup> აჭარაში დამკვიდრებული იყო ქონების გაყოფა „ფიშქემის ყრით“. მედიატორები მთლიან ქონებას თანაბარ წილად დაყოფდნენ და თითოეულ წილს განსაზღვრულ ნიშანს ანიჭებდნენ. შემდგომ, ქუდში ჩაყრიდნენ იმდენ ნიშანდასმულ ჩხირს, რამდენი მოწილეც იყო. ცალკეული ჩხირი რომელიმე წინასწარ განსაზღვრული წილის კუთვნილების გამომხატველი იყო, რომლის შესახებ მხოლოდ მედიატორებმა იცოდნენ. ისინი ქუდში ჩაყრილ ჩხირებს ერთმანეთში აურევდნენ, რის შემდგომ თითოეული მოწილე თითო ჩხირს ამოიღებდა და ამის მიხედვით ისაკუთრებდა თავის წილსვედრ ქონებას.<sup>137</sup>

ოჯახი თვითონ ირჩევდა მედიატორებს, რომლებიც ხშირად ოჯახის ახლობლები, მეზობლები, სოფელში გამორჩეული ადამიანები იყვნენ. ხშირად ამ როლს

<sup>133</sup> მრავალი ასეთი შეთანხმება მითითებულია გულნარა ცეცხლაძის ნაშრომში „მასალები გურიის სოციალურ-ეკონომიკური შესწავლისათვის“, თბილისი, 2003.

<sup>134</sup> გ. ცეცხლაძე, „გურიის მოსახლეობის საოჯახო ყოფა“, თბილისი, 1991, გვ. 88.

<sup>135</sup> იქვე, გვ. 89.

<sup>136</sup> მ. ხოფერია, „მედიატორებს როლი ოჯახის გაყრაში ქართული ჩვეულებითი სამართლის მიხედვით“, სამართლის ჟურნალი, თსუ იურიდიული ფაკულტეტი, თბილისი, 2011, 1987-76-68 №1, გვ. 47.

<sup>137</sup> თ. ანუგაბა, „ოჯახი და საოჯახო ყოფა აჭარაში“, თბილისი, 1990, გვ. 102.



მოწილეთა დედის ძმები ასრულებდნენ.<sup>138</sup> მედიატორად შეიძლება იყოს ყოფილიყო ერთი ადამიანი. შესაძლოა, აერჩიათ სამი ადამიანი, რომელთაგან ერთს უფროსად ირჩევდნენ და ობერ-მედიატორს ეძახდნენ.<sup>139</sup> მედიატორად არჩეული ადამიანი ჭკვიანი და გამოცდილი უნდა ყოფილიყო, კარგად უნდა სცოდნოდა წერა-კითხვა და მიწის გაზომვა. მედიატორის ავტორიტეტი განაპირობებდა მათი არჩევის სისწორეს. მაგალითად, მარტყოფელი მედიატორები იმდენად კარგი სახელით სარგებლობდნენ, რომ მათ ოჯახის გასაყოფად მეზობელ სოფლებშიც კი იწვევდნენ.<sup>140</sup>

გამონაკლის შემთხვევებში, მედიატორები აგრეთვე შეიძლება მოწვეული ყოფილიყვნენ დამკვირვებლისა და ფაქტის დამადასტურებლის სტატუსით. მიხაკო კეკელია მიუთითებს, რომ იმერეთში, როდესაც ძმები შეთანხმდებოდნენ ქონების გაყოფაზე, მედიატორები, როგორც გაყოფის დამსწრენი, გაყოფის ფაქტს იურიდიულად ადასტურებდნენ.<sup>141</sup>

<sup>138</sup> იქვე, გვ. 101-102.

<sup>139</sup> გ. ცეცხლაძე, „გურიის მოსახლეობის საოჯახო ყოფა“, თბილისი, 1991, გვ. 88.

<sup>140</sup> მ. ხოფერია, „მედიატორებს როლი ოჯახის გაყრაში ქართული ჩვეულებითი სამართლის მიხედვით“, სამართლის ჟურნალი, თსუ იურიდიული ფაკულტეტი თბილისი 2011, 1987-76-68 №1, გვ. 48, მეცნიერება.

<sup>141</sup> მ. კეკელია, „მასალები იმერეთის ჩვეულებით სამართალზე“, ეთნოგრაფიული რეველი, თბ., 1989 11, მითითებული გ.დავითაშვილი, „სასმართლო ორგანიზაცია და პროცესი ქართულ ჩვეულებით სამართალში“, თბილისი, 2004, გვ. 61.

## მედიაციის წარსულიდან აწყობა და მომავალზე

მედიაციის, როგორც დავების განხილვის საშუალების წარმოშობა და დამკვიდრება ჩვენს კულტურაში განაპრობა კონკრეტულმა საჭიროებებმა, რაც მომდინარეობდა იმ დროს არსებული პოლიტიკური თუ სოციალური წყობიდან. ერთი მხრივ, სისხლის აღების ტრადიცია, რაც გავრცელებული იყო განსაკუთრებით მთაში, იწვევდა დაუსრულებელ შუღლს ოჯახებსა და თემებს შორის. საჭირო იყო ამ გამანადგურებელი წესის აღკვეცის მექანიზმის არსებობა. მეორე მხრივ, ქართველ ხალხს, ისევ და ისევ განსაკუთრებით მთაში, ჰქონდა სახელმწიფო ინსტიტუტების მიერ დამკვიდრებული მართლმსაჯულების სისტემისადმი უნდობლობა. ამ ორივე მნიშვნელოვან საჭიროებას უპასუხა მედიაციის ინსტიტუტმა. მედიატორების ძალისხმევით ბევრი ქართული გვარი გადაურჩა ამოწყვეტას. სამედიატორო სასამართლომ აგრეთვე უზრუნველყო სამართლიანობისადმი წვდომის ხალხისათვის მისაღები და სანდო სისტემა.

დღეს საქართველო სხვა გამოწვევების წინაშე დგას. საქართველოში (ისევე როგორც მსოფლიოში) მიმდინარეობს მასობრივი ურბანიზაცია.<sup>142</sup> ეს იმას ნიშნავს, რომ სულ უფრო მეტი ადამიანი იყრის თავს შეზღუდულ ფართობზე და იბრძვის შეზღუდული რესურსებისთვის, რაც თავისთავად ზრდის მათ შორის კონფლიქტის ალბათობას. ამასთან, თანამედროვე დროის სიჩქარეში, და ტექნოლოგიური ინოვაციების ფონზე, მცირდება გულწრფელი და შინაარსიანი კომუნიკაცია ადამიანებს შორის. კომუნიკაციის ნაკლებობა კონფლიქტის განმაპირობებელი მნიშვნელოვანი ფაქტორია. არსებობს კიდევ ბევრი სხვა ადგილობრივი და გლობალური პრობლემა, რაც ქმნის კონფლიქტის საფუძველს. შესაბამისად, იზრდება დავების რაოდენობა. იურიდიული საზოგადოებისთვის კარგად არის ცნობილი, რომ სასამართლოს რესურსი ფიზიკურად ვერ აუღის დავების ამ მასშტაბს. საქმის განხილვა სასამართლოში წლობით მიმდინარეობს, რაც ვნებს სოციალურ და ბიზნეს გარემოს. გრძელ ვადაში, დავების მოუგვარებლობა საზოგადოებას უფრო აგრესიულს ხდის, ყინავს ეკონომიკურ საშუალებებს, რომ აღარაფერი ვთქვათ თვით

<sup>142</sup> XIX საუკუნის დასაწყისში მსოფლიო მოსახლეობის მხოლოდ 3% ცხოვრობდა ქალაქებში. ამჟამად ეს მაჩვენებელი 50%-ს აღარბებს. ეს მაშინ, როდესაც ქალაქების საერთო რაოდენობა დედამიწის ხმელეთის 1%-ს არ აღემატება. იხილეთ „მოსახლეობის დინამიკა - განსახლების ტიპები და ურბანიზაცია“, ხელმისაწვდომია <http://can.ge/> ნაწილი: 12.11.2016 წ.

მოდავე მხარეების მორალურად დაძაბულ და ნეგატიურ განწყობაზე. დღევანდელი საჭიროება არის დავების ეფექტიანი მართვისა და გადაწყვეტის სისტემის დანერგვა. ამ მიზანს მედიაცია პირდაპირ ემსახურება.

მედიაციის ფართოდ დანერგვა და გავრცელება ჩვენს ქვეყანაში, ერთი მხრივ უზრუნველყოფს დავების ბევრად უფრო მოკლე ვადაში მოგვარებას, ვიდრე ეს დღეს სასამართლოში, თუნდაც არბიტრაჟში ხდება. მედიაციის პროცესი ხომ რამდენიმე დღე, კვირა, ყველაზე ბევრი რამდენიმე თვე შეიძლება გაგრძელდეს. ამასთან, როგორც უკვე ზემოთ აღვნიშნე, მედიაციის შედეგად მოგვარებული დავების ეფექტი არა მხოლოდ ამ დავების ერთჯერადი გადაწყვეტა, არამედ, დიდი ალბათობით, მოდავე მხარეების მდგრადი სიმშვიდე, და ხშირად, მათი სამომავლო თანამშრომლობაა. მედიაციაში მორიგება თავისთავად გულისხმობს, რომ შეთანხმება მხარეთა ნებით და მათ მიერ მიღებულ (და არა სხვა, მესამე პირის მიერ თავსმოხვეულ) გადაწყვეტილებას ეფუძნება, და შესაბამისად, მხარეების მიერ მისი აღსრულების ალბათობა ძალზედ დიდია – ეს ხომ ის არის, რაც მათ თავად სურდათ.<sup>143</sup> რა თქმა უნდა, ყველა დავა ვერ დასრულდება მხარეთა შეთანხმებით. მაგრამ დასაწყისისთვის, სასამართლოში დღეს არსებული დავების თუნდაც 30%-ით<sup>144</sup> შემცირება ძალზე დიდი განტვირთვა იქნებოდა მოსამართლეებისთვის და მისცემდა მათ შესაძლებლობას მეტად სწრაფად და ხარისხიანად წარემართათ სხვა პროცესები. ამასთან, მხარეთა ინტერესებზე ორიენტირებულ მედიაციის პროცესს კიდევ ერთი გვერდითი პოზიტიური ეფექტი შეიძლება ჰქონდეს. იგი ხელს უწყობს ადამიანების თვითგაძლიერებას და უნებურად ასწავლის მათ, რომ დავის მოგვარება მათივე შესაძლებლობებშია. ვფიქრობ და ვიმედოვნებ, რომ გრძელ ვადაში ეს გამოიწვევს საზოგადოების კულტურის ცვლილებას იმასთან დაკავშირებით, თუ როგორ ვუსმენთ ერთმანეთს, როგორ ვურთიერთობთ და როგორ ვაგვარებთ საკუთარ უთანხმოებებს.

<sup>143</sup> რა თქმა უნდა, არის შემთხვევები, როდესაც მედიაციის პროცესში მიღწეულ შეთანხმების შემდგომ მხარე შეიძლება გადაიფიქროს ამ შეთანხმების შესრულება; რაიმე მიზეზით მიიჩნიოს, რომ მისთვის ეს გამოსავალი აღარ არის მიმზიდველი. ასეთ შემთხვევაში, მეორე მხარის მიერ ამ შეთანხმების „იძულებითი“ აღსრულების შესაძლებლობა დამოკიდებულია, რა ფორმატში და რა წესების თუ კანონმდებლობის ფარგლებში მიმდინარეობდა მედიაცია; მედიაციის მარეგულირებელი კანონმდებლობა (და თავად მხარეთა არჩევანი, როდესაც ასეთი არჩევანის შესაძლებლობა აქვთ) განაპირობებს იმას, მათ შორის მედიაციაში მიღწეულ შეთანხმებას ხელშეკრულების ძალა ექნება თუ სასამართლო გადაწყვეტილებისა.

<sup>144</sup> თბილისის საქალაქო სასამართლოს პილოტური პროექტის 2013–2016 წლების მაჩვენებლებით, მედიაციისადმი დაქვემდებარებული 51 საქმის 31% (16 საქმე) დამთავრდა მხარეთა მორიგებით. საფუძვლიანი იქნება, თუ ვივარაუდებთ, რომ ეს მაჩვენებელი შეიძლება გაიზარდოს მედიატორების მიერ გამოცდილების დაგროვებისა და მედიაციის შესახებ ინფორმაციის გაზრდის პარალელურად.

## კითხვები ანალიზისთვის:

- თქვენი აზრით, რა საერთო თვისებები/უნარები ჰქონდა მედიატორს წარსულში და უნდა ჰქონდეს დღესაც?
- რა საერთო ნიშნები ახასიათებს მედიაციის პროცესს საქართველოს სხვადასხვა კუთხეში?
- რა მეთოდს იყენებდნენ მომრიგებლები მედიაციაზე მოდავე მხარეების დასათანხმებლად?
- რა მეთოდი შეიძლება გამოიყენონ დღეს მოსამართლეებმა მხარეთა დასარწმუნებლად, რომ მათ დავა მედიაციას დაუქვემდებარონ?
- რამ განაპირობა, რომ წარსულში მხარეთა შერიგების პროცესში მედიატორი ღებულობდა გადაწყვეტილებას მხარეთა შერიგების მიზნით?
- რა უპირატესობას ხედავთ დღევანდელ მედიაციაში არბიტრაჟთან შედარებით?
- რა უპირატესობა აქვს პროცესს, სადაც მესამე მხარე იღებს გადაწყვეტილებას (არბიტრი თუ მოსამართლე) მედიაციის პროცესზე?
- რა გარემოება განაპირობებდა მხარეების მიერ მედიატორის გადაწყვეტილების აღსრულებას? რა გარემოება განაპირობებს მხარეთა მიერ მედიაციაში მიღწეული შეთანხმების შესრულებას დღეს?
- როგორ ფიქრობთ, მედიატორის პასუხისმგებლობა წარსულში მეტი იყო თუ დღეს? რატომ?
- რა გამოწვევები შეიძლება ჰქონდეს მედიაციას დღეს საქართველოში დავების განხილვის უპირატეს მეთოდად დამკვიდრების გზაზე?

## ბიბლიოგრაფია

- ა. მახარაძე, „კონფლიქტის არსი და მედიაციის ინსტიტუტი ისტორიულ ასპექტში“, შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი, შრომები III, გამომცემლობა „უნივერსალი“, თბილისი, 2011, გვ. 44. ISSN 1512-31-62.
- ალ. ვაჩიშვილი, „ნაკრვევები ქართული სამართლის ისტორიიდან“, წიგნი I, 1946 წ.
- ბ. ნიჟარაძე, „თავისუფალი სვანი“, ისტორიულ-ეთნოგრაფიული წერილები, ტ. I, თბილისი, 1962 წ.
- ბ. ქანთარია (შემდგენელი), „ქართული სამართლის ისტორია“, „იურისტების სამყარო“ 2014 წ.
- გ. დავითაშვილი, „სამედიატორო სასამართლო ანუ „რჯული“ ხევსურეთში“, თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბილისი, 2001წ.
- გ. დავითაშვილი, „სასამართლო ორგანიზაცია და პროცესი ქართულ ჩვეულებით სამართალში“, თბილისი, 2004
- გ. ცეცხლაძე, „მასალები გურიის სოციალურ-ეკონომიკური შესწავლისათვის“, თბილისი, 2003წ.
- გ. ცეცხლაძე, „გურიის მოსახლეობის საოჯახო ყოფა“, გამომცემლობა „მეცნიერება“, თბილისი, 1991 წ.
- თ. აჩუგბა, „ოჯახი და საოჯახო ყოფა აჭარაში“, გამომცემლობა „მეცნიერება“, თბილისი, 1990 წ.
- ი. დოლიძე, „საქართველოს ჩვეულებითი სჯული“, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობა, თბილისი, 1960 წ.
- ივ. სურგულაძე, „საქართველოს სახელმწიფოსა და სამართლის ისტორიისთვის“, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბილისი, 1952 წ.
- მ. ხოფერია, „მედიატორეს როლი ოჯახის გაყრაში ქართული ჩვეულებითი სამართლის მიხედვით“, სამართლის ჟურნალი, თსუ იურიდიულ ფაკულტეტი, თბილისი, 2011, 1987-76-68 №1, გვ. 47, მეცნიერება.
- მ. კეკელია, ტერმინ „ბჭის“ შინაარსისათვის ქართულ სამართლის წიგნებში,

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის „მაცნე“ №4, თბ., 1973წ.

- მ. კეკელია, „ქართული ჩვეულებითი სამართალი“, გამომცემლობა „მეცნიერება“, თბილისი, 1990 წ.
- მ. კეკელია, „ქართული ჩვეულებითი სამართალი“, წიგნი 4, გამომცემლობა „მეცნიერება“, თბილისი, 1993 წ.
- მ. კეკელია, „ქართული ჩვეულებითი სამართალი“, გამომცემლობა „მეცნიერება“, თბილისი, 1988 წ.
- ნ. ურბნელი, „ათაბაგნი ბექა და ალბუღა და მათი სამართალი“, სტამბა-ლიტოგრაფია მესხიევისა და პოლეთაევისა, ტფილისი, 1890 წ. ხელმისაწვდომია: [www.library.court.ge](http://www.library.court.ge)
- ს. ონიანი, „ტერმინ „ბჭის“ მნიშვნელობისათვის ძველ ქართულ სამართალში“, თსუ-ს იურიდიული ფაკულტეტის სამართლის ჟურნალი, №2, 2013
- ს. ბახია-ოქრუაშვილი, „აფხაზთა ჩვეულებითი სამართალი“, თბილისი, 2014წ.
- ს. მაკალათია „ფშავი“, გამომცემლობა „ნაკადული“, თბილისი, 1985 წ.

ელექტრონული მასალები:

- საზოგადოებრივ-ლიტერატურული მოძრაობა XIX საუკუნის 60-70-იან წლებში, გვ. 39, ხელმისაწვდომია [http://dSPACE.nplg.gov.ge/bitstream/1234/3003/1/Kartuli-LiteraturisIstoria\\_Tomi\\_IV.pdf](http://dSPACE.nplg.gov.ge/bitstream/1234/3003/1/Kartuli-LiteraturisIstoria_Tomi_IV.pdf) ნანახია: 09.11.2016 წ.
- ბლოგი, „იურისტი ილია ჭავჭავაძე“, ხელმისაწვდომია <http://www.tabula.ge/ge/tableg/93203-iuristi-ilia-chavchavadze> ნანახია: 09.11.2016 წ.
- „საქართველოს ძველთაგან და ჩვეულებითად ქართველ მეფეთა დროთა შემოდებულნი სჯულნი“, ხელმისაწვდომია <https://ka.wikipedia.org/> ნანახია: 10.11.2016 წ.
- საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკის ფოტოარქივი, ხელმისაწვდომია <http://www.dSPACE.nplg.gov.ge/browse?type=subject&order=ASC&rpp=20&value=მედიატორი> ნანახია: 10.11.2016 წ.
- დოკუმენტური ფილმი „ხევსურები“, კომპანია „ქართული ტელეფილმი“, 1996 წ., ხელმისაწვდომია <https://www.youtube.com/watch?v=Qd5PWPK32c> ნანახია: 10.11.2016 წ.





თბილისი, 2016